

20- საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები
ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN

 ტომი II 
BAND II

თბილისი
2006

გეორგ თორაპლი

პრეზულიდან ლექსიბი (1913)

Rondel

დათხეულია დღეების ოქრო,
საღამოს თალზი, ლურჯი ფერები:
მცყემსს უნაზესი საღამური კვდომამ გაუქრო
დათხეულია დღეების ოქრო
საღამოს ლურჯი, თალზი ფერები.

შებინდებისას

სარკმელზე ყვავილს ისევ მიწვდა სამრეკლოს ჩრდილი
და ოქროული ცხელი შუბლი მიინავლება,
ჩამოდის წაბლის ძირას სოფლის წყარო ჭავლებად
და გრძნობა: წრფელია! ტკივილებით ღონიშვილი.

დროული ზილი მოილია დახლზე რიგებად,
შავი კარიბჭე კრავს სივრცეებს, მკვიდრად ნაგები,
ბალში უკრავენ, აიშლება ნელი ჰანგები
იქ, სად ნასამხრალს არითინა შეიკრიბება.

ზღაპრების თეთრი ჯადოქარი სულს მოუოხებს,
იწივლებს ახლადაღებული თავთავი მინდვრად
და ქოხში მკაცრი ყოფა თმენას იწესებს მინდად,
ძილს გაუნათებს ნავთის ლამფა ბოსელში ძროხებს.

ქუთუთო ქარის მათრობელა ჩაიკრეს ფრთებმა,
ფრთხილად გაუნდო უცხო ეტლის ვარსკვლავთა რონინს,
გამოვა ბნელი მუხებიდან ენდიმიონი
და მწუხარების საგუბართან ჩაიკრიფება.

ბოროტის სიზმარი

პირველი რედაქცია

საცხონებელმა ზანზალაქმა ჩაიწერიალა,
მიათბობს ყვრიმალს წვრილ ვარსკვლავთა სარკმელზე მეტრუე.
გაღვიძებული ბნელ დარბაზში შუქთა ფარტენით,
მოჩანს ანძები, ბაგირი და აფრა კრიალა.

ბერი, ორსული დედაკაცი... ორომტრიალი,
სად ჭიაფერი პერანგები დაფარფატებენ,
კვნესის გიტარა, ხმება წაბლი, ოქროს ნაფოტი,
ცისკენ მიიწევს სევდიანი ტაძრის პორტალი.

ცვილის ნიღბიდან იმზირება სული ბოროტი,
მიწა ხორშაკად მიაქცია, დაისი - ნაცრად,
ჩურჩულით იპყრა კუნძულები სმენის წარმტაცმა.

ჩიტის არეულ გაფრენაში ბედს უთავბოლოდ
ეშურებიან კეთროვანნი, ქრებიან როტვით.
ბალში კი თვალი თვალს შეხვდება, შეკრთება და-ძმა.

შემოლგომაზე

ამონთებულან ღობურებთან მზესუმზირები,
მზენათელს წყნარად მისხდომიან ავადმყოფები.
ხნულებს დამღერენ მუყაითად ქალთა რიგები,
ირგვლივ იღვრება ზართა რეკვის საამო ხმები.

მოგიყვებიან ფრინველები შორეულ ამბებს,
ირგვლივ იღვრება ზართა რეკვის საამო ხმები.
ეზო-კარიდან ვიოლინოს ჰანგები აღწევს.
დღეს ღვინომუქად იწურება ყურმნის მტევნები.

სახე კაცისა აღსავსეა ლალი ფერებით.
დღეს ღვინომუქად იწურება ყურმნის მტევნები.
ფართოდ განხვნილი დაშთენილან საცხედრეები,
მზის სხივთა მიერ ნაჩუქურთმევ-ნაალერსევი.

ჩემი გული საღამობით

საღამოჟამი ღამურების ძახილს მოუცავს.
მინდორზე როკავს წყვილი ცხენი
და წითელი ნეკერჩხალი გაბმით შრიალებს.
მგზავრს გზად ფუნდუკი აუჩნდება მოულოდნელად.
დიდებულია სურნელება კაკლისა და ახალი ღვინის.
დიდებულია: უღრან ტყეში მთვრალი კაცის მიმოხეტება.
შავ ტოტებს მიღმა სნეული ხმით რეკენ ზარები.
სახე ცვარით დაინამება.

გლეხები

სარკმელს სიმწვანე და სიწითლე მოეფინება.
შავად შეკვამლულ და ჭერდაბალ დარბაზში ერთგან
მოახლები და გლეხები სადილად სხედან;
პური ტყდება და გრილ კათხებში ღვინო ისხმება.

შუადღის ჟამია, მიცემული უღრმეს სიჩუმეს,
ხანად და ხანად ძუნწი სიტყვა ჩამოვარდება
სარკმელში მოჩანს სავარგულთა მწირი ნათება
და - შორი ზეცა, ტყვიასავით მძიმე და მრუმე.

კერაზე ცეცხლი იკლაკნება და იგრიხება
და მიმობზუის ბუზთა გუნდი ერთხმა ბზუილით.
გასუსულ ქალებს მორევიათ ჩლუნგი ღუმილი
და ღვივის მათი საფეთქელი, სისხლით ივსება.

ხარბად მზირალი, წააწყდება ზოგჯერ თვალს თვალი,
ძროხის ხვითქი რომ მოეფრქვევა ოთახს მსუბუქად.
მსახური ლოცვას წამოიწყებს მონოტონურად,
ხოლო კარს მიღმა თავის სათქმელს ამბობს მამალი.

და კვლავ – სათიბში, სადაც ხშირად ძრწოლა შეიპყრობს
მათ, თავთავების ფორიაქში გამოხვეულებს,
და გამყინავად და თანაბრად მოქნეულ ცელებს
ხმა აქვთ იმ ცელის, ერთადერთი აჩრდილი რომ ფლობს.

ՆՈՉՈՉՔԵԼՈՒ ՆՅՈԼՈ

Իամլա, յոտլեցուն մեշինյէյած րոմ իամռածնեղեծն, -
Ծպյշի ծօնաժրոն շմռյըսո մօսո դոմունո.
մոնազլոյնա, զօտ ահրդունո, մալյ ևոջելո.
Հօսկու ծաց մազ ժողնարմո հյոմած մեթյալոյն.

մոյոյարյէա մալյ մնյըրաս քացո յալո,
ոյնեծ մնյյմուսո, մազ ծօլոյիս րոմ դասվրացյէնա.
գամռածոյչյէն წյոնարած մեցո եյտա ծյավրունան,
տզալո լցուայերուն սաճաւ եյդազ ցառուեծյալո.

լուրջո մօնարյ մօլուզլուզյէն, յոնքրած մարյէն,
մնյյերու ցա լրուծլուն ցամռինոտ արու մուլունո;
դա ոյշը - նյոլու մօյմարյէա անցելոնչյորո.
նագուրդունան წարմազալո նյորատ-եաթյէն.

ტყისპირი

კარლ მინხს

მრუმე წაბლნარი. ხანდაზმულები დასრიალებენ ფრთხილად უმშვიდეს შემწუხრების უამს; კოხტა ფოთლები ირგვლივ მსუბუქად ჭერება და ხმება; სასაფლაოზე შაშვი გარდაცვლილ ბიძაშვილს ტკბილად შეეხუმრება, ანგელას ქერა მასწავლებელი თან ახლავს ახლა და გვერდს უმშვენებს.

ეკლესიების ვიტრაჟებიდან იმზერს სიკვდილის წმინდა ზატება; თუმც სისხლისფერი ფონი სარკმელთა ქუფრია და სულ გლოვით აღავსებს.

დღეს დაკეტილი არის კარიბჭე. მნათე განაგებს ტაძრის გასაღებს. მოჩვენებებს კი ბაღში დაიკო შინაურულად ებასება.

ძველ სარდაფებში ღვინო დგება და ოქროსფერი და კამგამა ხდება, გაშლი სურნელებს. და სიხარული ცხრა მთას იქიდან როდი ანათებს. და მოუწუსხავთ უმაღლ ბავშვები ხანგრძლივ მიწწუხრზე ნამბობ ზღაპრებს; ნაზ სიგიჟესაც გამოუჩნდება ხშირად ეს ოქრო - ჭეშმარიტება.

მოედინება სილურჯე, სავსე რეზედებით და ოთახებს სანთლის შუქი ანათებს. და მორჩილთათვის უკვე მზად არის სასუფეველი. ტყისპირს სრიალით ეშვება თავქვე კაცი მავანი, ბედი ეული; დღე გაილა და ზღურბლზე ჩნდება ანგელოზური სიმშვიდე დამის.

სამახსოვრო ჩანაწერების ძველ წიგნში

დამიბრუნდები, მწუხარებავ, ისევ და ისევ,

ო, მყუდროება ეული სულის.

დასასრულად იწვის ოქროს დღე.

კეთილხმოვანი, დამირული მსუბუქ სიგიფეს,

თვინიერად მიეცემა ტკივილს მორჩილი.

მზერა მიაპყარ! ბინდდება უკვე.

მოგვიბრუნდება კვლავაც ღამე;

მოთქვამს მოკვდავი

და თანაუგრძნობს მსგავსი, მოკვდავი.

მოცახცახე შემოღომის ვარსკვლავქეშეთში,

უამთასვლის კვალად, თავი მიწყივ უფრო მძიმედ ჩაეკიდება.

გარდასახვა

მე-2 რედაქცია

ბალები, წითლად დაფერილი, შემოდგომური:
სიცოცხლე სრულად წარმოჩნდება ამ სიჩუმეში.
კაცს ყავისფერი ლერწის ლერი უჭირავს ხელში,
მისი მზერა კი ყრუ ტკივილით არის მოცული.

მწუხრზე: ნაბიჯი, შავმა მიწამ რომელიც იცის,
წითელ წიფელთა მდუმარებას უეცრად არღვევს.
ლურჯი ნადირი ცდილობს სიკვდილს მუხლმოყრით დაზვდეს,
შემაძრწუნებლად განილევა სამოსი მისი.

ტრაქტირის ირგვლივ ნეტარება სუფევს ნამდვილი,
მწვანე ბალახში ჩაკარგულა იერი მსმელის.
ანწლის ნაყოფი, ლვინით თრობა, ფლეიტა ნელი,
რეზედის სურნელს მიმოაბნევს ქალი ჩავლილი.

კაცობრიობა

ცეცხლოვან უფსკრულს შერჩენილი კაცობრიობა,
ბნელ, მებრძოლ შუბლთა მიმოქცევა, ცემა დაფლაფთა,
სისხლის ბურუსში მწყობრად სვლა და რკინის ზეობა,
სასოწარკვეთა და წყვდიადი მგლოვიარ თავთა:
წითელი ფული, ევას ჩრდილი და ნადირობა.
ღრუბელი, შუქით დარღვეული, ეს ზიარება.
პური და ღვინო აღსავსეა სათნო ღუმილით
და აქ თორმეტი მოციქულის არის შეკრება.
ზეთისხილის ქვეშ, ისმის ძილში მათი ყვირილი;
თომას ხელი კი ჭრილობაში ჩაიძირება.

De profundis

ველი ნამკალი, აი, სად წვიმს შავბნელი წვიმა.

ხე მოჟამული, აი, რა დგას განმარტოებით.

ქარი აგსული, აი, რაა უკაცური ქოხმახების ბატონ-პატრონი.

ჰოი, რარიგად მწუხარეა საღამო ესე.

ობოლი გოგო

სოფლის პირს ძუნწად შემორჩენილ თაველს მშვიდად მიმოაგროვებს.

მწუხრის ბინდ-ბუნდში გავლებული მისი თვალები ოქროვანი

ბრწყინვალებით აღივსებიან,

ზეციურ საქმროს მოუთმენლად მოელის საშო.

უკუქცევის ქამს

ეკალ-ბარდში მწყემსებმა ნახეს

გახრწნილებამორევნილი ტკბილი სხეული.

მე ვარ აჩრდილი, უკუნ სოფლებს მოშორებული.

ღმერთის სიჩუმეს მივირთმევდი

ტყის წიაღში შობილი წყლიდან.

ჩემს სახეზე ცივმა რკინამ გადაიარა.

ჩემი გული ობობებმა დაისაკუთრეს.

აი, სხივი, ჩემს ბაგეზე რომელიც გაქრა.

ღამით, ვერან და უკაცრიელ ალაგად შთენილს,

გარს მეჯარვოდა ნაგავი და მტვერი ვარსკვლავთა.

კვლავაც გალობენ

თხილნარში ბროლის ანგელოზები.

ფსალმუნი

მე-2 რედაქცია

ეძღვნება კარლ კრაუსს

აი, ნათელი, ქარმა რომ დანთქა.

აი, ტრიალი ველ-მინდორი, ნაშუადღევს რომ დატოვა მთვრალმა.

აი, ვენახი, ხრიოკი და ობობებით სავსე ხვრელებით გაშავებული.

აი, სივრცე, რძით რომელიც გადაათეთრეს.

განუტევა სული შეშლილმა. აი, სამხრეთის ზღვის კუნძული,

მზის ღვთაებასთან შესახვედრად გამზადებული. ისმის დოლის ხმა.

საბრძოლო ცეკვებს ასრულებენ მამაკაცები.

ხოლო ქალები ლიანებში და ყაყაჩოებში განაგრძობენ თემოთა რჩევას, როცა ზღვა იძღვრს. ო, დაკარგულო ჩვენო ედემო.

ნიმფებმა უკვე მიატოვეს ოქროს ტყეები.

სადღაც უცხოს ასაფლავებენ. მერე უუჟუნა წვიმა იწყება.

მიწის მთხრელად პანის ვაჟი განუცხადდებათ,

შუადღისას რომ ადუღებულ ასფალტზე სძინავს.

აი, ეზოში, ციცქა კაბებით, გულისძამფლეთი სიღარიბით სავსე, ბავშვები!

აკორდებით და სონატებით განმსჭვალული ოთახები.

აი, ჩრდილები, თვალისმომჭრელ სარკეებს რომ შეერევიან.

ჰოსპიტლის სარკმლებს ათბებიან მოკეთებული ავადმყოფები.

ჩვენთვის თეთრ გემს არხით მოაქვს სისხლოვანი ეპიდემია.

ვიღაცის ბოროტ სიზმარეულში კვლავ აღწნდება დაი უცნობი,

ვინც მის ვარსკვლავებს თხილნარში მცხრალად ეთამაშება.

სტუდენტი ვინმე, შესაძლოა ორეული, სარკმლით მზირალი, მას თვალს ადევნებს.

ზოლო მის უკან გარდაცვლილი მისივ ძმა დგას, ან დაეშვება
ქვემოთ ძევლი, ხვეული კიბით.
რუხი წაბლნარის სიბნელეში გაფიტრდება ახალგაზრდა მორჩილის
სახე.
ბაღი საღამოს დაენთქმება. ზოლო მონასტრის გალერეაში ღამურები
დაშრიალებენ.
თამაშს შეწყვეტენ კარისკაცის ბავშვები და ზეცისულ ოქროს
ებებენ.
ბოლო აკორდი კვარტეტისა. ყრმა, თვალდავსილი, ხეივანში
ცახცახით გარბის;
მოგვიანებით, ცივ კედლებთან, საცნაურია აჩრდილი დისა, ზღაპრებით
და ნათლიერი ლეგენდებით გარემოცული.

აი, ნავი ცარიელი, მიმწუხრზე რომ შავი არხის დინებას მოაქვს.
ძელისძელი თავშესაფრის ყამუთში ბოლოვდება ნანგრევები კუცობრიობის.
ბაღის კედელთან გარდაცვლილი ობლები წვანან.
სიბინძურით დალაქავებულფრთხებიანი ანგელოზები გამოდიან
მოჟამული ოთახებიდან.
გადაყვითლებულ მათ ჭუთუთოებს წვეთ-წვეთად სდის მატლი და ჭია.
როგორიც ახსოვთ ბავშვობის დღეებს, ეკლესიასთან მოედანი ისეთივე
ქუფრი და ყრუა.
საგუბართა ვერცხლოვან ფსკერზე ოდინდელი ცხოვრებანი ჩაიქროლებენ
და მგლოვიარე წყლისკენ დაძრულან აჩრდილები შეჩვენებულთა.
თეთრი გრძნეული სამარეში თავის გველებს ეთამაშება.

განიხვნებიან მდუმარედ ღმერთის ოქროს თვალები საწამებელ
ადგილთა ზედა.

დას

სადაც გაივლი, დგება შემოდგომა და მიმწუხრის ბინდი,
ლურჯი ნადირი, რომელიც ხეებქვეშ უღერს,
მარტოსული ტბორი მიმწუხრის ბინდში.

ნელა ფრინველთა ფრენა უღერს,
სევდას ინახავს შენი თვალების რკალი,
შენი ვიწრო ღიმილი უღერს.

ღვთისგან ძერწილია შენი ქუთუთოთა რკალი.
ციმციმით ცდილობენ ვარსკვლავები, ვნების პარასკევის შვილო,
მონახონ ღამით შენი შუბლის ციური რკალი.

სიკვდილის სიახლოვე

მე-2 რედაქცია

ო, მწუხრი, ყრმობის უკუნ სოფლებს დაშურებული.

ტირიფების ქვეშ

მწუხარების მოწამლული ამოოხვრით ივსება ტბორი.

ო, ტყე, რომელიც წყნარად დახრის თაფლისფერ თვალებს,

როცა ეულის დაჩონჩხილ ხელებს

აღტაცებულ დღეთა ძოწი ჩამოსცვივდება.

ო, სიახლოვე სიკვდილისა. ვიღოცოთ. როცა

ღამე მოაწევს, გრილ ბალიშზე

საკმევლისგან გაყვითლებულ შეყვარებულთა გალეული კიდურები

მოეშვებიან.

ამინ

ძველი ოთახი – ლპობის თარეშს მინებებული;
ყვითელ კედლებზე – აჩრდილები; ბნელ სარკეებში
ჩვენთა ხელთა სპილოსძვლისფერი სევდა-ნაღველი მოიკრუნჩება.

მკვდარ თითებს შორის იღვრებიან ნაცრისფერი მარგალიტები.
ლურჯი ყაყაჩოს
თვალებს განხვნიან სიჩუმეში ანგელოზები.

ლურჯია მწუხრიც;
ჟამი ჩვენი გადაგებისა; კვალად – აჩრდილი აზრაელის,
რუხი ბალის დამბნელებელი.

ნგრევა

როცა ზარები მეძახიან, მშვიდობით რეკენ,
კუყურებ ცაში სიმსუბუქეს, ფრენას ჩიტების,
ჩიტები, როგორც ღრმად მორწმუნე პილიგრიმები,
სადღაც შორეთში, ჰორიზონტზე, ქრებიან შემდეგ.

დავხეტიალობ შებინდების მწუხარე ბაღში,
მათ ბედისწერას მყუდროს, ნათელს დავლანდავ სიზმრად,
თითქოს ვეღარ ვგრძნობ დროს და წამებს, საათის ისარს,
ღრუბლების მიღმა მათ კვალს მივსდევ, დარჩენილს გზაში.

უეცრად ნგრევის უხეში ხმა მაკრთობს, ხელს მიშლის
და დაიჩივლებს გაშიშვლებულ ტოტებში შაშვი,
წითელი ღვინო ტორტმანდება გისოსებს იქით,

როგორც ფერმქრთალი, საზარელი სიკვდილი ბავშვის,
მუქ ოწინართან რომ გასკდება ქარების წიხლით,
სუსხიან ქარში ლურჯი ტოტი ტყდება, ქედს იხრის.

ადამიანთა საბრალოობა

„ადამიანთა გლოვის“ მე-2 რედაქცია

საათი მალე – მზეზე ადრე – ხუთს ხუთჯერ დაჰკრავს,
მარტოხელა ხალხს ეუფლება უკუნის შიში,
მიმწუხრზე ბაღში შეირხევა ხეების რიგი,
ლანდი ცხელრისა ფანჯარასთან შეკრთდება ამ ხანს.

ალბათ, საათი და დროება გაჩერდა ჩუმად,
მღვრიე თვალებთან სურათები ირხევა ლურჯი,
გემების რიტმში მდინარეზე ირწევა, უცდის...
და სანაპიროს გადაუფრენს ფანტომი უცბად.

და თამაშობენ გოგონები, ბრმანი, ფერმკრთალნი,
თხილნარის ბაღში ჩაეხუტნენ ერთმანეთს ძილში.
და გახრწნილ ლემთან ბუზი მღერას ისევ არ იშლის,
დედის კალთაში ატირდება ბავშვი შემკრთალი.

თითებიდან კი იღვენთება ასტრა წითელი,
ყმაწვილის ბაგე თითქოს მოჩანს ობლად და უცხოდ,
და დაფარფატებს სიმღერები ჩუმად და უგზოდ,
შავ ცხელებაში გაბნეულა პურის სურნელი.

თითქოს ჩაგესმის შემზარავი, მძაფრი კივილი.
და ჩამონგრეულ კედლებს მიღმა ჩონჩხები ცოცავს,
ბოროტი გული ხარხარებს და სპობს ლამაზ ოთახს,
და მეოცნებეს ჩაუქროლებს ძაღლი სირბილით.

გამოფიტული ბუზი ქრება და ბნელში არ ჩანს,
მკვლელს უნდა სივრცე, გაინათოს ოთახი ფერმკრთლად,
ღამის შტურმი კი ლამპიონებს ამსხვრევს და ლეწავს,
საბრალოობის თეთრ საფეთქლებს ამშვენებს დაფნა.

მწუხარის სიმღერა

საღამოჟამი რომ დგება და დაბურული ბილიკებით დავემართებით,
ჩვენს წინ ჩვენივე გაფითრებული სახეები წარმოსდგებიან.

როცა გვწყურია,
ჩვენი მწუხარე ყრმობის სიტკბოს –
ტბორის თეორ წყლებს – დავეწაფებით.

დავდუმებულვართ, გარდაცვლილნი, ანწლის ბუჩქებში,
ნაცრისფერი თოლიების ჭვრეტად ვქცეულვართ.

მოგროვდებიან ქუფრი ქალქის თავს ღრუბლები გაზაფხულისა,
ხოლო ქალაქი ღუმს, ვით განთქმულ დროთა მოწესე.

თვალები დინჯად აღახილე,
ავადმყოფურ შენს ხელს ხელი როცა შევახე,
ეგე ჟამი გადავიდა დიდი ხანია.

მაგრამ როს პანგი, კეთილი და ბუნდოვანი, სულს ესტუმრება,
მეგობრის ლანდშაფტს შემოდგომურს კვლავაც თეორად გამოუჩნდები.

ღამის სიმღერა

უძრავის სუნთქვა. ნადირის სახეს
გააშეშებს სილურჯე, ლურჯი ფერის სიწმინდე.
ძლიერებით აღსავსეა დუმილი ქვაში;

ღამეული ფრთოსნის ნიღაბი. სამი ლბილი ხმა
აჟღერდა ერთ ხმად. ელაი! შენი იერია,
მდუმარედ რომ დაიხრება ლურჯი წყლის თავზე.

ო! მისმიერი წყნარი სარკე ჭეშმარიტების.
მარტოსულის სპილოსტვლისფერ საფეთქელთან
დაცემული ანგელოზის ანარეკლი მოისახება.

პელიანი

სულის ეული დრო რომ დგება,
მშვენიერია მზეზე გასვლა
და ზაფხულის ყვითელ კედელთა გაყოლებით გასეირნება.
სათუთად ისმის ბალახებში ნაბიჯების ხმა; პანის ვაჟიშვილს
სამარადისო ძილით სძინავს ამ ნაცრისფერ მარმარილოში.

მწუხრის ტერასზე თაფლისფერი ღვინით ვთვრებოდით.
ფოთლებიდან ატამი წითლად შემოგვლვიოდა;
ნელი სონატა, სიცილი ლალი.

საამოა ღამის სიჩუმე.
ხოლო ბნელ ველზე
დათქმული გვაქვს პაემანი მწყემსებთან და თეთრ ვარსკვლავებთან.

როცა მოაწევს შემოდგომა,
კორომი ჩვენს წინ მოვლი თავისი სინათლით და ბრწყინვალებით აძმარობა.
წითელ კედელთა გაყოლებით ვეხეტებით მშვიდობიანნი
და მწყურვალ მზერას გავადევნებთ ფრინველთა ფრენას.
მიმწუხრზე თეთრი წყლით ივსება ფერფლის ურნები.

შიშველ ტოტნარში ზეიმობს ზეცა.
სუფთა ხელებით მოაქვს გლეხკაცს პური და ღვინო
და ნება-ნება მწიფს ნაყოფი მზით ავსებულ საკუჭნაოში.

ო, რარიგად მკაცრია და სერიოზული ძვირფას მკვდართა სახე-იერი!
მხოლოდ მართალი მზერის ძალით აღივსებიან სიხარულით მათი სულები.

უძლეველია მდუმარება განძრცვილი ბაღის,
სადაც ნორჩ მორჩილს შუბლი მოურთავს ყავისფერი ფოთლის გვირგვინთ
დაეწაფება მისი სუნთქვა ყინულის ოქროს.

ხელები ლურჯი წყლის სიძველეს შეერევიან
ან დაიკოთა ლოყებს ალერსით დაიცავენ ცივი ღამისგან.

ჰარმონია და სიფაქიზე აღავსებს ნაბიჯს სიკეთით სავსე ოთახებთან,
სადაც ნეკერჩხლის შრიალია და სიმარტოვე
და, შესაძლოა, ჯერაც ისმის გალობა შაშვის.

მშვენიერი და დიადია სიბნელეში ადამიანი,
გაკვირვებული რომ მიდის და შეერჩევა ნაკვთი ყოველი,
ხოლო ალისფერ ბუდეებში უხმაუროდ მოძრაობენ მისი თვალები.

მწუხრის ლოცვის უამს ვიდაც ნოემბრის შავ ნგრევაში დაეტანება,
ჩაიკარგება კეთრით სწეულ კედლებსა და ძველ ტოტებს შორის,
სადაც მოწესეს გაუგლია,
დანთქმულს თავისი შეშლილობის სიმთა მიერ გამოცემულ მსუბუქ
ჰანგებში,

ჰოი, რარიგად ეულია აღსასრული მწუხრის ქარისა.
მომაკვდავი თავს ჩაჰკიდებს ზეთისხილის ხეთა წყვდიადში.

შემზარავია გადაგება ადამის მოდგმის.
მაშინ აღავსებს თვალხილულის ნათლიერ მზერას
ოქრო მისივ ვარსკვლავებისა.

ზარის მიმქრალი ხმოვანება საღამო უამს შეერევა და
ჩაიქცევიან მოედანზე შავი კედლები,
გარდაცვლილი ჯარისკაცი მოითხოვს ლოცვას.

ვაჟიშვილი გაფითრებულ ანგელოზად შეაბიჯებს
მამა-პაპის ცარიელ სახლში.

ჯერ კიდევ როდის შორს, თეთრთმიან მოხუცებთან წავიდნენ დები.
ხოლო მძინარემ სახლის კარსელში მიყრილები ნახა ისინი:
დაბრუნებულან გლოვით ლოცვის შორი გზებიდან.

ო, დების მყრალ და სიბინძურედ შესქელებულ, მატლიან თმაში
დაძირულან ვერცხლოვანი მისი ფეხები;
გარდაცვლილები გამოღიან ცარიელი სენაკებიდან.

ო, შეაღამის ცეცხლოვანი წვიმების უამს თქმულნო ფსალმუნნო,
მოახლები სათნო თვალებს ჭინჭრით როცა უსწორდებოდნენ;
ანწლის ბავშვური ნაყოფები
ცარიელი სამარისკენ განციფრებით დადრეკენ თავებს.

ნაზად გორავენ გაყვითლებული მთვარეები
ყრმის მდუღარე თეთრეულის თავს,
ვიდრე ბავშვს ზამთრის მდუმარება თან წაიყვანდეს.

ამაღლებული ბედი ქედრონს ქვემიუძღვება,
იქ, სად კედარი, უწყინარი ქმნილება, ხარობს
მამის ლურჯ წარბქვეშ.
ლამეუამს ფარას საძოვრისკენ მიდევნის მწყემსი.
ადამიანს რომ ტყეში რკინის ანგელოზი უახლოვდება,

ხოლო სხეული წმინდანისა გახურებულ ცხაურზე დნება, –
იქნებ ეს მხოლოდ ყვირილია კაცისა ძილში?

თიხის ქოხმახთა გარეშემო ალისფერი ისხმება ღვინო,
გაყვითლებული ჭვავის ძნები იმღერენ და
ზუზუნებენ ფუტკრები და გადაიფრენს მდუმარედ წერო.
ხდება: ხვდებიან საღამო ხანს, ქვის ბილიკზე, მკვდრეთით აღმდგარ
მიცვალებულებს.

შავ წყლებში სჭვრეტენ კეთროვანნი თავიანთ სახეს;
ან ვარდისფერი ქედების მხრით მონაბერ, მხსნელ ქარს
მოთქმა-ვედრებით აგებებენ გასვრილ ტანსაცმელს.

გაფაციცებით მოივლიან ღამის ჩიხებს ყმაწვილქალები,
ისინი ძვირფას მწყემსს ეძიებენ.
შაბათდღებით ქოხებიდან არე-მიდამოს ჰეროვანი სიმღერები მოეფინება.

ყრმასაც სიმღერით მოიგონებდეთ,
სიგიუეს მისას, თეთრ წარბს მისას, აღსასრულს მისას,
ხრწნამორევნილმა თვალი ლურჯად რომ გაახილა.
პოი, რარიგად მწუხარეა ეს ჰაემანი.

შავ ოთახებში – კვლავ სიგიუის საფეხურები,
ძველგარდასულთა აჩრდილები – გაღებულ კარში,
საღაც ვარდისფერ სარკეში სჭვრეტს თავის თავს სული ჰელიანის და
თოვლი და კეთრი ედინება მისი შუბლიდან.

ცარგვალზე ჩაქრნენ ვარსკვლავები
და სინათლის თეთრი ხატები.

საფლავის ძვლები ამოარღვევენ საფარველს და
ბორცვზე დუმან ჩაშლილი კვრები.
საკმევლის სურნელს მიმობნევს ალისფერი ქარი ღამისა.

პოი, თვალებო, დამსხვრეულებო და შავ წახებში დაძირულებო!
შვილიშვილის გონებას რომ მკრთალი ბინდი გარემოიცავს,
ის მოსასვლელი, უბნელესი აღსასრულის შესახებ ფიქრობს;
მის თავს ზემოთ, წყნარი ღმერთი ქვე დაზიდავს ლურჯ ქუთუთობს.

პამბულიძეს სპესტინე სიზმარად (1915)

ბავშვობა

ანწლი, ნაყოფით დახუნძლული; ზოლო ბავშვობა
ლურჯ მღვიმეში ყუჩად მკვიდრობდა. იქ, სადაც ბილიკი განილევა,
და მოჟამული ველის ბალახის შარიშური მიმოიბნევა,
ფიქრს მოუცავს მშვიდი ტოტები; შრიალი ფოთლის,

კლდებს შორის რომ ლურჯი წყლის ხმას გამოსცემს, სწორედ იმგვარი.
სუბუქია შაშვის გალობა. უხმოდ ჰმზერს მწყემსი
მზეს, შემოდგომის გორაკიდან ამოგორებულს.

მხოლოდ სულია ლურჯი წამი, სხვა არაფერი.
ტყისპირს აღჩნდება დამფრთხალი მსეცი, მშვიდობის ნიშნად
დადუმდებიან ძველისძველი ზარები და ბნელი სოფლები.

მოკრძალებით საცნაურჲყოფ ბნელი წლების აზრს,
მარტოდ შთენილი ოთახების კვლავ სიგრილეს და შემოდგომას.
ყრუდ ისმის წმინდა სილურჯეში მანათობელი ნაბიჯების ხმა.

გაღებული სარქმლის წკარუნი, ძლივსგასაგონი; ბორცვზე ჩაშლილი
სასაფლაო ცრემლებამდე შეძრავს დამნახველს;
ერთ დროს მოსმენილ ლეგენდათა კვლავ გახსენება; გაცისკროვნდება
მაინც სული, უამიდან უამზე,
ოდეს შხიარულ აღამინებს და ზაფხულის ბნელოქროვნ დღებს აღიდგენს.

ჟამნი

ერთურთის მიმართ ბნელი მზერა შეყვარებულთა,
ქერათა და მანათობელთა. დანატრებული მათი მკლავები,
გამყინავი წყვდიადის წიაღ, უსუსურად ერთვიან ერთურთს.

ალისფერ მსხვრევას დაეტანა კურთხეულთ ბაგე. აირეკლავენ
მრგვალი თვალები გაზაფხულის ნაშუადღევის დაბინდულ ოქროს;
ნაპირებს და სიშავეს ტყისა; მწვანითმოსილ ძრწოლებს მწუხრისა;
იქნებ ფრთოსანთა გამოუთქმელ ფრენას და – სავალს
არშობილისა, უკუნ სოფელთა და მარტოსულ ზაფხულთა პირას,
და გაღუჯული სიღურუჯდან, ჟამიდან ჟამზე, გარდაცვლილი გამოაბიჯებს.

წყნარად შრიალებს პურის ყანა გაყვითლებული.
მკაცრია კაცის ცხოვრება და მოცლა არა აქვთ სოფლად გლეხთა
ფოლადის ცელებს,
დიდრონ დირეს იმორჩილებს ხურო ბეჭითად.

ალისფერს იკრებს ფოთლეული შემოდგომაზე. მოწესის სული
მშვიდად განვლის მზენათელ დღეებს; მწიფობს ყურძნი
და საზემო არის ჰაერი ფართოდ გაშლილ კარ-მიდამოთა.
ტებილსურნელებენ დაყვითლებული ნაყოფები; მხიარულების
წყნარი სიცილი ჩაბნელებულ სარდაფებში, მუსიკა, ცეკვა;
გარდაცვლილი პატარა ბიჭის ნაბიჯი და გარინდება დაბინდულ
ბაღში.

გზად

მათ მიმწუხრის უამს საცხედრეში მიიტანეს უცნობი მკვდარი; კუპრის სუნი; წითელ ჭადართა ნელი შრიალი; ჭკის ბნელი ფრენა; საგუშავო ჩაიბარეს ჯარისკაცებმა. მზე მიეფარა შავ თეთრეულს; გარდასული ეს საღამო ჩვენთანაა ისევ და ისევ.

გვერდით ოთახში და შუბერტის სონატას უკრავს. ღიმილი მისი ერთობ სათუთად იძირება დაშრეტილ ჭაში, რომელიც მიმწუხრს უგებება ლურჯი ხმაურით. მოდგმა ჩვენი რარიგ ძველია! ბაღში ჩურჩული განიბნევა; გამოეთხოვა ამ ყომრალ ცას უკვე მავანი. ხოლო კომოდზე სურნელებენ მწიფე ვაშლები. ბებია ოქროს კელაპტრებს ანთებს.

რარიგ თბილია შემოდგომა! ხანმოყრილ პარკში, მაღალ ზეებქვეშ, ნაზია ჩვენი ნაბიჯების ხმა. მკაცრია ფრიად სუმბულისდარი პირისახე საღამოისა.

ლურჯია წყარო შენს ფეხებთან; იდუმალებით აღსავსეა შენთა ბაგეთა აღისფერი უსაზღვროება, მთვლემარე ფოთლებს რომ დაჩრდილავს, ჩამოშლილი მზესუმზირების დაბინდულ ოქროს. დაგმძიმებია ყაყაჩოსგან ქუთუთოები, ჩემს შუბლს მიკრულნი მისცემიან სათუთ ოცნებას. მოაწევს ზარის სათნო ხმა და მკერდი თრთოლვით განიმსჭვალება. უამს მიმწუხრისას ჩემში ლურჯ ღრუბლად ჩამოეშვა შენი ხატება.

დამდერებული გიტარაზე, შორეული დუქნიდან რომ მომეყურება; ველური ანწლის ბუჩქები და დღე ნოემბრის, დიდი ხნის წინ გადაგებული, სანდო ნაბიჯთა ხმოვანება მწუხრის კიბეზე; გარუხებულ დირეთა მზერა,

ღია სარქმელი, რომელსაც ტკბილი იმედი შერჩა –
ო, ღმერთო ჩემო, ეს ყოველი არის ისე გამოუთქმელი, რომ
მუხლს ვიყრი გაოგნებისგან.

რარიგ ბნელია, ო, ეს ღამე! ჩემს ბაგეებზე
ჩამოქრება ალი ბრდლვიალა. სიკვდილით დუმილს დაენთქმება
შიშნეულ სულის ჰანგი ეული.
ბინძურ გუბეში ჩაეკიდოს, დაე, თავი ღვინით ძლეული!

სანახი

მე-2 რედაქცია

სექტემბრის მწუხრი; მგლოვიარედ აუღერდება მწყემსთა ბნელი
მოძახილი
დაბინდულ სოფლად; ნაპერწკალი ხლტის სამჭედლოში.
ყალყზე დგება დაძაგრული შავი ქურანი; სუმბულისდარი კულულები
გლეხის ქალისა
მისი ბრდლვიალა ნესტოების მხურვალებას მინებებია.
ტყისპირს სიჩუმე ნება-ნება ენაცვლება ფურირმის ყვირილს.
ხოლო ყვითელი ყვავილები შემოდგომისა
უტყვად მიღრეკენ თავებს ტბორის ლურჯი მზერისკენ.
ხე ჩაინაცრა მეწამულ ცეცხლში; ბნელსახიანი ღამურები იწყებენ
შრიალს.

ყრმა ელისისალმი

ელის, შავ ტყეში შავი შაშვი თუ ამეტყველდა,
ნიშანია შენი სიკვდილის.

ეწაფებიან ბაგენი შენი მთით მონადენი ლურჯი წყაროს გრილოვანებას.

სისხლად სდიოდეს, დაე, შენს შუბლს
ლეგენდები ძველთუმველესი
და უბნელესი განმარტება ფრინველთა ფრენის.

ხოლო შენ ფრთხილი ნაბიჯებით შეხვალ ღამეში,
დახუნძლულია ღამე იგი ალისფერი ყურძნის მტევნებით,
მშვენიერია მკლავთა შენთა მიმორხევა ამ სილურჯეში.

ჰანგს მიმოიღვრის ეკალ-ბარდი,
სად მთვაროვანი შენი თვალები დაბუდებულან.
ო, რა ხანია, ცოცხალთ შორის აღარ ხარ, ელის.

შენი სხეული სუმბულია,
რომელშიც ბერის ცვილის თითები დაინთქმებიან.
შავი მღვიმეა სიჩუმე ჩვენი,

საიდანაც, უამიდან-უამ, თვინიერი გამოდის მხეცი
და დამბიმებულ ქუთუთოებს ქვე დახრის დინჯად,
მიმოებნევა შენს საფეთქელს შავი ცვარ-ნამი,

უკანასკნელი ოქრო უკვე ჩაშლილ ვარსკვლავთა.

ელისი

მე-3 რედაქცია

1

სრულყოფილია მდუმარება ოქროვანი დღის.
ძველ მუხიანში
აღჩნდები, ელის, უმშვიდესი, მრგვალი თვალებით.

მათი სილურჯე აირეკლავს თველემარებას შეყვარებულთა.
შენს ბაგებთან
ვარდისფერი მათი ოხვრა აღესრულება.

საღამოჟამზე მძიმე ბადეებს ეზიდებოდა წყლიდან მეთევზე.
კეთილი მწყემსი
ტყისპირისკენ მიდევნის ფარას.
მართალ არიან, ჰოი, რარიგ, ელის, შენი ყოველი დღენი.

შშვიდად ეშვება
ზეთისხილის გაშიშვლებულ გალავანთან ლურჯი სიჩუმე.
შორს ბერიკაცის ყრუ სიმღერა მიინავლება.

ნავი ოქროსი
მიმოარწევს, ელის, შენს გულს ეულ ზეცაში.

2

ნაზად წერიალებს ზანზალაკი ელისის მკერდში,
მწუხრის ჟამს,

როცა თავი მისი შავ ბალიშში ჩაძირება.

ასკილის ბუჩქებს შეხიზნული
ლურჯი მხეცი სისხლისგან მშვიდად განიტვირთება.

განაპირებით დგას რუხი ხე
და ლურჯ ნაყოფს მიმოიფანტავს.

ნიშნები და ვარსკვლავები
მწუხრის ტბორში უხმაუროდ დაინთქმებიან.

დაზამთრებულა გორაკთა მიღმა.

ლურჯი მტრედები
უკუნ ლამეში სვამენ ელისის ბროლის შუბლიდან
მომდინარე ყინულოვან ოფლს.

საცნაურია დღენიალაგ
შავ კედლებთან ღვთის ეული ქარის წრიალი.

ჰოპენბურგი

მე-2 რედაქცია

სახლში არაა სულიერი. ოთახებში – შემოღვომა;
მთვარითნათელი სონატა და
გამოღვიძება დაბინდულ ტყის პირს.

ადამიანის თეთრი სახე მოეძალვის შენს ფიქრს ნიაღაგ,
დროის და ჟამის აურზაურს მოშორებული;
მეოცნების თავს ნეტარებით დაზიდულან მწვანე ტოტები,

ჯვარი და მწუხრი;
ჟღურადს ალისფერ მკლავებს მოხვევს და გულში იკრავს მისვე ვარსკვლავი,
უპატრონო სარკმლებთან რომ დაკიდებულა.

წოლო თრთის ბნელში უცხო ვინჩე,
მერე განხენის ქუთუთოებს და გაღმოსცქერის ადამიანურს,
რომელიც ერთობ შორეულია; წინკარში ქარის ხმა ვერცხლოვანი.

სებასტიანე სიზმრად

ადოლფ ლოოსს

დედას, ყრმით ხელში, თეთრი მთვარე გზას უნათებდა,
კაკლის ხისა და ხანიერი ანწლის ჩრდილში
გაბრუება ყაყაჩოს სითხით, შაშვის ჩივილი;
და, ნება-ნება,
მისი თავისკენ თანაგრძნობით იხრებოდა წვერიანი და მშვიდი სახე,

სარკმლის წყვდიადში; და ნივთთა წესრიგს,
წინაპრებისგან ნაანდერძევს,
დაქცევა ნთქავდა; სიყვარული; ოცნებები შემოდგომური.

წელიწადის ასერიგად უბნელესი დღე, მწუხარე ყრმობა,
ბავშვი რომ გრილი წყლებისკენ და ვერცხლოვანი თევზებისკენ ეშურებოდა,
სიმშვიდე, მზერა;
როცა შეშლილი შავი ცხენიდან ის ქვასავით ძირს ეცემოდა,
ჩამოდიოდა რუს ღამეში მის თავთან მისივ ბედის ვარსკვლავი;

ან როცა დედის გაყინული ხელებიდან საღმოუამს თავს დაიტსნიდა
და წმინდა პეტრეს შემოღვიმური სასაფლაოსკენ მიმავალ გზას შუალებიდა,
საკუჭნაოს სიბნელეში მყიფე გვამი მშვიდად ესვენა
და ქუთუთოებს გახსნიდა და მზერას მისკენ გამოიწვდიდა.

ის კი პაწია ჩიტი იყო, შიშველ ტოტზე დასკუპებული,
ნოემბრის მწუხრის ხანგრძლივი ზარი,
მამის სიმშვიდე, როცა ის, ძილში, დაეშვებოდა განათებული ხვეული
კიბით.

სულის მშვიდობა. მარტოსული საღამო ზამთრის.
მწყემსების ბნელი სახეები ძველისძველ ტბორთან;
ყრმა – ჩაღის ქოხში; ო, რა წყნარად
იძირებოდა მისი მზერა შავ ციებაში.
ღამის სიწმინდე.

ან როცა იგი, მამის ძლიერ მკლავს მინდობილი,
დადუმებული ადიოდა ქუფრ გოლგოთაზე
და შებნელებულ კლდის ნიშებში
მისივ მითიდან გადმოსული ადამიანის ლურჯი სახე ეცხადებოდა.
ხოლო გულის ქვეშ, ჭრილობიდან მეწამული სისხლი დიოდა.
ო, რა სათუთად ამოიმართა ბნელით მოცულ მის სულში ჯვარი.

სიყვარული; ხოლო მაშინ შავ ალაგზე თოვლი დნებოდა,
ძველ ანწლში ლალად გროვდებოდა ლურჯი ნიავი,
კაკლის ჩრდილში შეკრული თაღი;
და ყრმას თავისი ვარდისფერი ანგელოზი წყნარად ეჩვენა.

სიხარული; მწუხრის სონატა აწკრიალდა გრილ ოთახებში,
რუს განივძელზე
ვერცხლისფერი თოჯინიდან გამოცოცდა ლურჯი ფარვანა.

ჰოი, სიკვდილის სიახლოვე. ქვის გალავნისკენ
იხრებოდა უტყვად ბავშვის ყვითელი თავი,
ხოლო მაშინ, მარტის თვეში, მთვარე ჩაიქცა.

თაღებქვეშ დამის აკლდამისა ვარდისფერი, სააღდგომო ზარების რეპვა და ვარსკვლავების ვერცხლოვანი ხმა, — რომ მძინარის შუბლს ბნელი სიგიჟე ცახცახით მოსწყდა.

ო, რა სიჩუმით დაეშვება, დავიწყებულზე მოფიქრალი, ქვემოთ, ლურჯი ნაკადულის პირს, სადაც, მწუხრის ჟამს, მწვანე ტოტებში, შავი შაშვი უცხოს უხმობდა.

როცა მოხუცი ჩონჩხადქცეულ ზელს ჩაჰკიდებდა და სეირნობდნენ ქალაქის ჩაშლილ გალავანთან ყოველ მიმწუხრზე, ხოლო მავან შავსამოსიანს ვარდისფერი ჩვილი მოჰყავდა. კაკლის ხის ჩრდილში სული აღჩნდა ბოროტეულის.

ნაბიჯები ზაფხულის მწვანე საფეხურებს შეეხებიან. ო, რა წყნარად ჩაიქცა ბალი შემოდგომის რუხ სიჩუმეში, ძველი ანწლის სურნელება და მწუხარება, სებასტიანეს ჩრდილში როცა ანგელოზის ვერცხლოვანი ხმა დასამარდა.

ჭაობთან

მე-3 რედაქცია

მგზავრი შავ ქარში; ფრთხილად განუანტავს წმელი ლელქაშის შარიშური
ჭაობის დუმილს. ველურ ფრინველთა
გუნდს გამოაჩენს მოჟამული ცა;
განივი ლტოლვა ქუფრი წყლების თავს.

ფორიაქი. ჩაშლილ ქოხში
ლპობა შავ ფრთებს ააშრიალებს;
ქარში ოხრავენ სახიჩარი არყის ზეები.

მიტოვებულ ფუნდუკში – მწუხრი. შინმისაქცევ გზას უთვალთვალებს
მობალახე ფარას შეყრილი მსუბუქი სევდა;
ღამის ხატება: უამიდან უამზე ამოყვინთავენ გომბეშოები ვერცხლის
წყლებიდან.

გაზაფხულზე

უჩუმრად ჩაწვა თოვლი ბნელი ნაბიჯების ქვეშ,
ხის ჩრდილში
ფრთხილად იხსნებიან შეყვარებულთა ვარდისფერი ქუთუთოები.

მენავეების ბნელ დაძახილს
ვარსკვლავი და ღამე მოსდევს ისევ და ისევ;
წყნარია და რიტმულია ნიჩბების ცემა.

აყვავდებიან ჩამოქცეულ გალავანთან მალე
იები,
და ასე მშვიდად იფარება მარტოსულის საფეოქელი მწვანე ბალახით.

სადამო ლანსში

მე-2 რედაქცია

მოგზაურობა დაბინდული ზაფხულის გავლით,
გაყვითლებულ თავთავთა მიღმა. თეთრ თაღებქვეშ,
სადაც მერცხალს მიმოფრენა ემჟბოდა, ალისფერი ღვინით ვთვრებოდით.

მშვენიერია: ო, სევდა და წითლად სიცილი.
მწუხარი და მწვანის ბნელი სურნელი
მოცახცახედ გვიგრილებენ აღუღებულ შუბლს.

ჩასდევნებიან ვერცხლის წყლები ტყის საფეხურებს,
ღამეუამი და სიცოცხლე, უტყვად დავიწყებული.
მეგობარი; სოფლის გზებზე – ფოთლები უხვად.

ბერთამთაზე

მე-2 რედაქცია

შემოღვომის თელების ჩრდილში, ჩაქცეული ბილიკი რომ ქვედამართულა, საცნაურია ფოთლოვანით შეკრულ სადგომთა და მძინარე მწყემსთა სიშორე, ნიადაგ თან სდევს მგზავრს სიგრილის ბნელი ხატება.

ძველისძველი ხიდურის თავს – ყრმა სუმბულის ხმით, ტყის დავიწყებულ ლეგენდათა ნელი-ნელ მთქმელი, ხაფი ჩივილი ძმის, სნებისგან ძალამიხდილის.

ააშრიალებს მეტყველ მწვანეს მუხლი უცნობის, ქვოვანი თავი; ქალების ჩივილს ლურჯი წყარო ხმაურით გათქვამს.

კასპარ ჰაუზერის სიმღერა

ბესი ლოოსს

ჭეშმარიტად შეჰყვარებოდა მზე, – გორაკისკენ მობრდლვიალელ
დასწრაფებული,
ტყის ბილიკები, მგალობელი შავი ჩიტები
და სიმწვანის მხიარულება.

ხის ჩრდილში მისი ბინადყოფნა სავსე იყო მნიშვნელოვნებით,
სახე – სიწმინდით.
ცეცხლს აღუნთებდა ღმერთი გულში:
ო, ძე კაცისა!

მისმა ნაბიჯმა წყნარი ჰპოვა მწუხრზე ქალაქი;
ბაგეს მომწყდარი ბნელი მოთქმა:
ამას ვნატრობ, გავხდე მხედარი.

მაგრამ თან სდევდა ბუჩქი და მხეცი,
ადამიანთა, უთეთრესთა, დაბინდული ბალი და სახლი,
და ეძიებდა მას მკვლელი მისი.

გაზაფხული და ზაფხული და მშვენიერი შემოდგომა
მართლის, მისი წყნარი ნაბიჯი
ბნელ ოთახებში, კვლავ და კვლავ რომ ოცნება სძლევდა.
მარტო რჩებოდა იგი ღამით თავის ვარსკვლავთან;

იხილა, თოვლი აცვიოდა შიშველ ტოტნარს და
ბინდით მოცული სახლის წინკარს და მკვლელის აჩრდილს.

ქვე იხრებოდა არშობილის თავი ვერცხლისფრად.

ღამით

სილურჯე ჩემი თვალებისა ამ ღამეში ამოიწურა,
ჩემი გულის წითელი ოქრო. ო! ნათლიერი რა სიძვედით იფერფლებოდა.
გახვეულიყო, ჩაძირვადი, შენს ლურჯ სამოსში;
აღიბეჭდავდა ალისფერი შენი ბაგე მეგობრის შეშლას.

ბაღში

კვლავ უცნაური ხეტიალი წარსულის ბაღში,
ო, სიჩუმეა ყვავილების ქდალის, ყვითელის...
სათონ ღმერთები დაშთენილან მწუხარებაში
და - შემოდგომის სიოქროსფრე ჩუმი სიწრფელით.
აქ ხომ მოლურჯო გუბურასთან მაღლდება მოლი
და უცაბედად დადუმდება საღამოს შაშვი,
ო, წინაპართა საფლავებთან დახარე თავი,
ჩანს დანგრეული მარმარილო... ცოტა ხნით დარჩი.

ზამთრის საღამო

მე-2 რედაქცია

როდესაც თოვლი ეცემა სარკმელს
და უსასრულოდ რეკს მწუხრის ზარი,
მრავალს გაშლილი სუფრა აღაღებს,
გამშვენებული უდგას სახლ-კარი.

ვიღაც კი მიდის, მიხეტიალებს,
ბჭეს უბრუნდება წყვდიადი გზებით,
მოწყალების ხე ოქროდ ბრიალებს,
მიწიდან ცივი წვენით ნაგზნები.

მგ ზავრმა შემოდგა ნაბიჯი უხმოდ,
ზღურბლის ქვამ მისი ტკივილი ივნო,
წმინდა ნათელში ტაბლასთან უხმობს
გაბრწყინებული პური და ღვინო.

სიმშვიდე და მდუმარება

შიშველ ტყეში მწყემსები მზეს ასაფლავებდნენ. ეზიდებოდა დაძნძილი ბადით მეთევზე გაყინული ტბორიდან მოვარეს.

ლურჯ ბროლში

სახლობს ფერმიზდოლი ადამიანი, ლოყით თავის ვარსკვლავს მიკვრია, ანდა თავს სულაც ალისფერი ძილისკენ დახრის.

თუმცა, ფრინველთა შავი ფრენა კვლავ აათროოლებს
მზირალს, და – ლურჯი ყვავილის ნათელს,
ფიქრს მისცემია ახლომყოფი ძღვანარება დავიწყებულის, ანგელოზი
ჩამოშრეტილი.

კვლავ დაიღამებს მოვარენათელ ქვიანში შუბლი; დაიკო კი მანათობელ ყრმად გამოუჩნდება შემოდგომას, კუპრისფერ ლპობას.

ანიფი

გახსენება: თოლიების ძახილს მოუცავს
კაცთა სევდის ბნელი ცის თაღი.

შემოდგომის იფნის ჩრდილში უჩუმრად მკვიდრობ,
გორაკის მართალ წესრიგს შერთული;

კვლავ დაეშვები მწვანე წყლისკენ,
მწუხრი რომ დგება,
სიყვარული აუღერებული; მშვიდობით გხვდება ბნელი მხეცი,

ვარდისფერი ადამიანი. ლაშვარდოვანი ამინდით მთვრალი,
მომაკვლავ მწვანეს ატოკებს შუბლი
და დედის მართალ მზერას აღიდგენს;
ო, რარიგ ერთვის ბნელს ყველაფერი;

მამათა
მკაცრი ოთახები, ძველი ავეჯი,
გადამთიელს მკერდს დაუმძიმებს.
ო, ნიშნებო და ვარსკვლავებო.

დიდია ბრალი დაბადებულის. ვაი, სიკვდილის
ოქროს ნიღბებო,
სულს უგრილესი ყვავილობა რომ ესიზმრება.

მთვარის ნაბიჯის მოთვალთვალე, შიშველ ტოტნარში,
უფრო და უფრო ხმას იმაღლებს ღამის ფრინველი.
ყინულოვანი ქარი იმღერს სოფლის კედლებთან.

დაბადება

მთები: სიშავე, დუმილი, თოვლი.
ნადირობა ტყიდან წითლად მოედინება;
ო, ხავსისფერი თვალები მხეცის.

დედის სიმშვიდე; შავ ნაძვნარში
განიხვნებიან მძინარე მკლავნი,
შუქმილეული ცივი მთვარე როცა დაჩნდება.

ო, დაბადება კაცთაგანის. კლდის ძირს ლურჯი წყლის
დამეული ისმის ჩურჩული;
დაცემული ანგელოზი მის ხატს მზერას ოხვრით მიაპყრობს,

ყრუ ოთახში სიფერმკრთალე გამოიღვიძებს.
ორ მთვარედ
ბრწყინავს ქვადქცეული დედაბრის მზერა.

ვაი, ყვირილი ახალშობილის. ჩვილის საფეთქელს
შავი ფრთებით ეხება ღამე,
ჩამოეშვება ალისფერი ღრუბლებიდან თოვლი მდუმარედ.

აღსასრული

მე-5 რედაქცია

კარლ ბორომოის პაინტის

თეთრ ტბორს

ველურმა ფრინველებმა გადაუფრინეს.

მიმწუხრზე ჩვენი ვარსკვლავები ყინულოვან ქარს გვიგზავნიან.

გადმოიხრება ჩვენს საფლავებზე

დამსხვრეული შუბლი დამისა.

ვერცხლის ნავი მუხიანში მსუბუქად გვარწევს.

ისევ და ისევ რეგენ ქალაქის თეთრი კედლები.

ეკალხლართებში,

ო, ჩემო ძმაო, გზას მივიკვალავთ ბრმა ისრები შუალამისკენ.

სიყრმის უამს გარდაცვლილისადმი

ო, კუპრისფერმა ანგელოზმა ჩის გულიდან რა სიმშვიდით გამოაბიჯა,
მწუხრის ჟამს, ლურჯად მოჭავლულ ჭასთან,
თამაში ჩვენი უცნაური სიმშვიდით რომ აღივსებოდა.
მიმოვიდოდით უხმაუროდ, შემოდგომის ლეგა სიგრილეს
მივაპყრობდით დაზაფრულ მზერას,
ო, ალისფერი სიტყბოება მწიფულ გარს კელავთა.

იგი კი, ლურჯად მოღიმარი, უკიდეგანო მღუმარებით
საესე ბავშვობის იდუმალ ჭუპრს გამომწყვდეული,
იგი ბერთამთის ქვის საფეხურებს ჩაუყვა და გარდაიცვალა;
ხოლო მეგობრის ვერცხლოვანი და სათნო სახე
გრძნეულმა ბალმა, ფრთლოვანმა, ძველმა ქვებმა შემოინახეს.

სიკვდილს და ხორცის მწვანედ გახრმნას უმღერდა სული,
და ტყის ფორიაქს დაერთვოდა
გულმოღინე ჩივილი მხეცთა.
კოშკთ გამჭვირვალე სიმაღლიდან უწყვეტ ნაკადად იღვრებოდა
ხმოვანება ლურჯი ზარების.

ჟამში ჩამოკრა, ყველა ლანდი აღაჩინა ცეცხლოვანმა მზემ, ლპობის აჩრდილებს დაუცყრიათ მირიადი შიშველი ტოტი; მწუხრი. გალავნის ბინდ-ბუნდიდან მოაწია შაშვის გალობამ, სული სიყრმის ჟამს გარდაცვლილის შემოვიდა ჩუმად ოთახში.

ო, სისხლი იგი, ყელს, სასიმღეროდ შემართულს, რომ განერინება, ლურჯი ყვავილი; ო, ღამის წიაღს შერევნილი ძღვანდარე ცრემლი.

ოქროვნი ღრუბლები. უმა. ზმრად მოუხმობ მცვალებულს მარტო შოტბილი,
და, მასთან ტკბილად მოუბარი, დაუყვები მწვანედ მჩქეფარე
ნაკალულისკენ მიმაკალ ბილიკს.

მწუხარი სულისა

მე-2 რედაქცია

ტყისპირთან მშვიდად გვეგეგება
ბნელი ნადირი;
გორაკზე მშვიდად ბოლოვდება მიმწუხრის ქარი,

წყდება შაშვის ხმა,
ლელიანში
შემოდგომის უნაზესი ფლეიტები დადუმებულან.

შენ კი შავ ღრუბელს დაურწევიხარ,
ყაყაჩოს წვენით დაბანგული მიმოივლი
ღამეულ ტბორებს,

ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას.
ისევ და ისევ, სულიერებით სავსე ღამე
დის მთვაროვანი ხმოვანებით განიმსჭვალება.

ჩამავალი მხარის სიმღერა

პოი, სულის ფრთებისცემა ბნელღამეული:
ოდეს მწეშები ვიყავით და ჩამობურულ ტყეთა წიაღ ვეზეტებოდით,
წითელი მხეცი, მწვანე ყვავილი და მოდუდუნე ნაკალული ოდეს კრძალვით
ქედს მოიხრიდა. ო, ჭრიჭინას პირველქმნილი ამონამღერი,
სამსხვერპლო ქვაზე მოყვავილე ბრდღვიალა სისხლი
და ტბორის მწვანე სიჩუმის თავს ხმოვანება ეული ჩიტის.

ო, ჯვაროსნულო ლაშქრობანო და მხურვალე ტანჯვანო
ხორცის. ალისფერი ნაყოფის ცვენავ
მიმწუხრის ბაღში, სადაც ერთ დროს მიმორბოდნენ უმანკო ყრმანი,
ხოლო ამჟამად მეომარნი, ჭრილობათაგან და ვარსკვლავთა
სიზმართაგან თავდაღწეულნი.

პოი, ნათება ულბილესი, ღამის სილურჯის.

პოი, თქვენ, უამნო მღუმარების და ოქროვან შემოდგომათა,
ოდეს ალისფერ ნაყოფს გარებდით მოწესენი მშვიდობიანნი;
ხოლო ირგვლივ ტყეები და მთის ფერდობნი განიხარებდნენ.
პოი, თქვენ, ციხე-სიმაგრენო, ნადირობანო; სიმყუდროვევ მიმწუხრისაო,
ოდეს დასაზღვრულ თვის სამყოფში მართლად ბჭობდა ადამიანი
და უტყვი ლოცვით ღვთის ცოცხალ თავს მოიხელთებდა.

პოი, მიწურვის მწარე უამი,
ოდეს შავ წყლებში გავარჩიეთ ქვოვანი მზერა.
მაგრამ ელვარედ განიხვებიან ვერცხლოვანი ქუთუთოები შეყვარებულთა:
ერთი მოდგმის. ვარდისფერი სასოუმლის პირით მოედინება
გუნდრუკი და
მკვდრეთით აღმდგართა უტყბილესი საგალობელი.

ფერისცვალება

საღამოჟამი როცა დგება,
ლურჯი მზერა უჩუმრად გტოვებს.
თამარინდის ტოტზე გალობს პაწია ჩიტი.

ქვადქცეულ ხელებს გულზე იკრეფს
სათნო მოწესე.
მარიამს თეთრი ანგელოზი გამოუჩნდება.

საცნაურმყოფლის ჟამი თუა
ღამის გვირგვინი,
იით, ვაზით და თაგთავით წნული.

შუბლს რომ ვერცხლისფერ ხელებში ჩარგავ,
შენს ფეხებთან
გარდაცვლილთა კუბოები განიხსნებიან.

უწყინრად მკვიდრობს შენს ბაგეზე
ბნელი სიმღერის ყაყაჩოს წვენით
მთვრალი მთვარე შემოდგომისა;

ყვითელ ქვიანში წყნარად მუღერი
ლურჯი ყვავილი.

თბილი მშრალი ქარი

მთვარენათელი ზამთრის ღამე, თვალდავსილი ჩივილი ქარში,
ყრმობა, შავ სხლტესთან ნაბიჯები წყნარად კვდებიან.

მწუხარისამის ხანგრძლივი ზარი.

გვიახლოვდება თეთრი ღამე წყნარი ხეტებით,

ქვოვანი ყოფის ტანჯვას და ტკივილს

მობრდლვიალე სიზმრებად აქცევს,

რომ არასოდეს გაეცალოს დამპალ სხეულს მწარე ეკალი.

ღრმად ოხრავს თვლემას მიცემული სული მოშიში,

მიმომსხვრეულ ხეებს შორის ღრმად ოხრავს ქარი,

და დედისულ ჩივილსახეს რწევა მოიცავს

ამ მდუმარე მწუხარების

მარტოსულ ტყეში; ღამეები,

სავსენი ცრემლით, ცეცხლოვანი ანგელოზებით.

ჩონჩხი ბავშვისა, ვერცხლისფრად რომ მიეფშვნება შიშველ გალავანს.

მგზავრი

მე-2 რედაქცია

ისევ და ისევ, თეორი ღამე იმ გორაკზე ჩამოისვენებს,
სადაც ალვის ხე ვერცხლოვანი ხმოვანებით გამორჩეულა,
ვარსკვლავნი და ქვანი სუფევენ.

მოეთაღება მთის ნაკადულს მთვლემარე წილი,
ასდევნებია ყრმას მკვდრის ხატი,
ვარდისფერი ულრანების ნამგალა მთვარე

და ლოცვად შემდგარ მწყემსთა სიშორე. ძველ ქანებს შორის,
ბროლის თვალებით გადმოიმზერს ირგვლივ გომბეშო,
მოყვავილე ქარი იღვიძებს, მკვდრისმსგავსის ფრთოსნურ ხმას და
ნაბიჯს
წყნარად მოსაგს ტყეში სიმწვანე.

მეხსიერებას ხეს და ნადირს წარმოუდგენს ეს ყოველივე. ხავსის
ნელი სვლა;
და მგლოვიარე წყლებში ელვარედ დანთქმული მთვარე,
ელვარედ რომ იძირება მწუხარე წყლებში.

ის ბრუნდება და დაწრიალებს მწვანე ნაპირთან,
შავი გონდოლის რწევა მსჭვალავს ქალაქს ჩაქცეულს.

კარლ კრაუსი

ჭეშმარიტების დიადი და თეთრი მოწესე,
ხმა უწმინდესი, რომელშიც უფლის სუნთქვა სუფევს ყინულოვანი,
განრისხებული ჯადოსანი,
ხოლო ცეცხლოვან სამოსელქვეშ – მეომრის ლურჯი აბჯრის
უღრიალი.

დადუმებულთაღმი

ო, სიგიუე დიდი ქალაქის, სადაც მწუხრის ჟამს
შავ კედელთან სახიჩარი ხეები სდუმან,
ვერცხლისფერ ნიღაბს შეხიზნული ავი სული ირგვლივ მზერას
მიმოატარებს;
ნათელს, მაგნიტის მათრახიანს, განაძევებს ქვოვანი ღამე.
ო, დასაძირად განწირული ხმოვანება მწუხრის ზარების.

აი, მეძავი, ყინულოვანი ძაგძაგით რომ დაბადებს მკვდარ ბავშვს.
ეშმაკეულით პყრობილი სახე უფლის რისხვით გაიროზვება;
დამამსხვრეველი მწვანე თვალთა, — ალისფერი ჭირი, შიმშილი.
ო, როცა ოქრო საზარი ხმით დაიწყებს ხარხარს.

მაგრამ ადამის ყუჩი მოდგმა უკუნ მღვიმეში სისხლისგან მშვიდად
თავისუფლდება,
და უმტკიცესი ლითონისგან მხსნელ თავს ადუღებს.

ვნება

მე-3 რედაქცია

მწუხარის ბაღში რომ ორფეოსი მკვდარს დაიტირებს
და ირგვლივ ჰანგი ვერცხლისფერი მიმოიღვრება,
ვინ ხარ შენ, მაღალ ხეთა ჩრდილქვეშ განსვენებულო?
იგლოვს ლერწამი შემოდგომის
და ლურჯი ტბორი,
მწვანე ხეებქვეშ სულის მღაფავი,
დის აჩრდილის ფრთხილი გუშაგი;
ბნელით მოცული სიყვარული
ველური მოდგმის,
დღის ძალა აქროს საცერში რომ ააჩხრიალებს.
სიმშვიდე ღამის.

იქ, სად უღრანი ნაძვნარია,
წყვილი მგელი სისხლს ურევდა
ქვოვან ალერსში; ბილიკის თავს
ოქროვანი გაქრა ლრუბელი,
მოთმინება და მღუმარება ბაგშვობის უამის.
ისევ და ისევ დაჩნდება მკვდარი
ტრიტონის ტბორთან,
სინაზით სავსე, სუმბულისებრკულულიანი.
დე, საბოლოოდ ჩამოიმსხვრეს ეს გრილი თავი!

რამეთუ მიწყივ თანამდევია ლურჯი მხეცი,
მომზირალი მწუხარის ხეებქვეშ,
ამ ბნელ ბილიკთა
მოთვალთვალე, შემრული მერე ღამეულ კეთილხმოვანებით,
ნაზი სიგიჟით;

ან, სულაც, ისევ ზმოგანებდა
ქვოვან ქალაქში,
მომნანიებლის გრილ ფეხებთან,
საკრავი, სავსე ბნელი ექსტაზით.

სიკვდილის შეიძი საგალობელი

ცისფრად ბინდდება გაზაფხული; წყალს დახარბებულ ხეთა ტოტებში
წყვდიადი დაძრწის დაისის და დასასრულის ქამს,
შავი შაშვის სათნო ჩივილს ყურმი პყრობილი.
ღამე - მდუმარედ მანათობელი; მხეცი, სისხლისგან განლეული,
გორაკზე რომ ნელა ეცემა.

მიმოირწევა სველ ჰაერში მოყვავილე ვაშლის ტოტნარი,
გაძოხლართული, თავს ვერცხლისფრად ითავისუფლებს,
ღამულ თვალებს ნება-ნება გარდაუცვლება; ცას მომწყდარი ვარსკვლავები;
უნაზესი გალობა ყერმობის.

შავი ტყისკენ მოჩვენებად დაეშურა ძილსმიცემული,
და ლურჯი წყარო მიწას გაბმით ჩაპბუტბუტებდა,
როგორ ამაღლდნენ გაფითრებული ქუთუთოები
თოვლითფენილი მისი სახიდან;

და ბუნაგიდან
წითელი მხეცი განდევნა მთვარემ;
ქალების ბნელ გვრინს სული ოხვრით ამოუვიდა.

თეთრი უცხო
საკუთარი ვარსკვლავისკენ მოელვარედ იწვდიდა მკლავებს;
მკვდარმა დუმილით დაუტევა ჩაშლილი სახლი.

ო, ადამის ძის ლპობადი სახე: გაყინული ლითონისგან ჩამონაკვთული:
ღამე და შიში დაძირულ ტყეთა,
მხეცის ვეღლური სამკვიდრებლის;
საამური ქარი სულისა.

ის შავი ნავით მიჰყვებოდა
ალისფერი ვარსკვლავებით სავსე დინებას, და იხრებოდა
ამწვანებული ტოტნარი მისკენ, მშვიდობის ნიშნად,
ვერცხლოვანი ღრუბლის ყაყაჩო.

ზამთრის ღამე

თოვლი მოვიდა. შუაღამე როცა გადავა, ალისფერი ღვინით გამომთვრალ ადამიანთა ბნელ გარემოცვას და მათი კერის წითელ ცეცხლს ტოვებ. ო, უკუნეთი!

შავი ყინვა. მკაცრია მიწა, სიმწრის სუნი მოიცავს ჰაერს. ავს მოასწავებს, როცა შენი ვარსკვლავები იხურებიან.

რკინისგზის ყრილზე ქვადქცეული ნაბიჯებით მძიმედ მავალი, მრგვალი თვალებით, ჰგავხარ ჯარისკაცს, შავ სანგარზე მოირიშეს. წინ!

უმწარესი თოვლი და მთვარე!

წითელი მგელი, ანგელოზი რომელსაც ახრჩობს. შენი ფეხები ისე, როგორც ლურჯი ყინული, ჩხრიალებენ სიარულისას, ხოლო სახეზე შეგყინვა გლოვითა და ქედმაღლობით სავსე ღიმილი და შენი შუბლი ფერმიხდილა ავხორცი ყინვით;

ანდაც მდუმარედ დაიხრება ქოხს შეხიზნული დარაჯის ძილის მიმართულებით.

ბევრისმზიდავ მხრებს ცეცხლით მოსაგს ვარსკვლავთა სფერო და ღმერთის ძერებს დარჩენიათ საძიმგნად შენი ლითონის გული.

ო, ქვის გორაკი. ჩუმად ლღვება და ავიწყდებათ ვერცხლისფერ თოვლში ჩარჩენილი გრილი სხეული.

შავია ძილი. ყინულზე ყური დიდხანს მისდევს ვარსკვლავთა ნაგზევს.

გაღვიძებასთან ერთად სოფლად ზარები რეკინენ. აღმოსავლეთის კარიბჭიდან ვერცხლოვანი ნაბიჯებით მოდიოდა ვარდისფერი დღე.

განსაწმენდელი

შემოდგომის გალავნებთან, აჩრდილები
გორაკის თავს მოწერიალე ოქროს ეძებენ,
გამხმარ ჭადართა სიჩუმეში
მგლოვიარე მწუხრის ღრუბლები.
ბნელ ცრემლებს აფრქვევს ეს დრო,
წყევლა, როცა გული მეოცნებისა
წითელი მწუხრის სიალისფრედ ჩამოღვარულა,
აკვამლული ქალაქის სევდა;
უცხოს, გზად მავალს,
ოქროს სიგრილე მიეწევა სასაფლაოდან,
ასდევნებოდეს თითქოს ჩრდილში მყიფე ცხედარი.

წყნარად ჩამორეკს ქვის შენობა;
ობოლთა ბაღი, ჰოსპიტალი ბნელით მოცული,
ხოლო არხში – წითელი ნავი.
წამოდგბან მეოცნებელ, წყვდიალი კი ქვე დასცემს მყისვე
ხრწნამორევნილ ადამიანებს
და კუპრისფერი კარიბჭიდან
ანგელოზები გამოდიან ცივი შუბლებით;
სილურჯე, დედის სიკვდილის ზარი.
მის გრძელ თმებს შორის
ცეცხლოვანი მიგორავს თვალი, დღემრგვალი და
მიწის ტანჯვა უდასასრულო.

გრილ და უაზრო ოთახებში
ლპება ავეჯი, დაჩონჩხილი ხელებით ეძებს
სილურჯის წიაღ
არაწმინდა ბავშვობა ზღაპრებს,
კარს და ზანდუკს ქონიანი ვირთხა შემოღრღნის,

გულს

აშეშებს თოვლის სიჩუმე.

ხოლო შიმშილის ცეცხლოვანი შეჩვენებები

ექოებად იბნევიან მძაღე ყომრალში,

კუპრისფერი ხმლები სიცრუის,

დაიხურაო თითქოს მძიმედ რკინის ჭიშკარი.

მზე

ყოველდღიურად გორაკს თავზე ყვითელი მზე წამოადგება.
მშვენიერია ტყე, ბნელი მხეცი,
ადამიანი; მონადირე ან სულაც მწყემსი.

მწვანე ტბორში გაბრწყინდება თევზი ალისფრად.
წყნარად მიცურავს ლურჯი ნავი მეთევზისა
ცარგვალქვეშეთში.

მწიფს ნება-ნება ვაზი, ხორბალი.
კვლავ შემართულან სიკეთე და ბოროტება,
დღე რომ ფრთხილად მიიღრიკება.

როცა ლამდება,
ზეაწევს დინჯად მგზავრი მძიმე ქუთუთოებს;
მზე პირქუში ხეობიდან ამოირლვევა.

დატყვევებული შაშვის გალობა

ლუდვიგ ფონ ფიკერს

ბნელი სუნთქვა – მწვანე ტოტებში.
ლურჯი ყვავილი ეფინება უელის
სახეს, ოქროსფერ ნაბიჯს,
სულისმღაფავს ზეთისხილის ქვეშ.
ღამე მთვრალ ფრთებს ააშრიალებს.
მორჩილება კი რა სიწყნარით იღვრება სისხლად,
ნამი, რომელიც ნელ-ნელა და წვეთ-წვეთად სდის ქაცვს, მოყვავილეს.
შემოჭდობია დამსხვრეულ გულს
თანალმობა ელვარე მკლავთა.

ზაფხული

მწუხრის ტყეში მიჩუმდება
გუგულის გვრინი.
დაიზიდება მძიმედ თაველი,
ალისფერი – იქვე – ყაყაჩო.

გორაკის თავს იმუქრება
შავი ავდარი.
მინდვრად
ჭრიჭინას ძველი სიმღერა აღესრულება.

აღარ შრიალებს
წაბლის ფოთოლი.
საცნაურია შენი კაბის შარიშური
ხვეულ კიბეზე.

ბნელ ოთახში –
ოდენ სანთლის მკრთალი ციალი;
მას ვერცხლოვანი ხელი
აქრობს;

უვარსკვლავო, ქარმშვიდი ღამე.

წელიწადი

ბავშვობის ბნელი მდუმარება. ამწვანებულ იფნის ხეებქვეშ, ძოვს მორჩილება მოლურჯო მზერის. ოქროს ღუმილი.

სიბნელეს ის სურნელება აღაფრთოვანებს; დაისის პირზე თავთავის რწევა, მარცვლები და ოქროსფერი ჩრდილები სევდის. ძელს შემოკაფავს ხურო; მიმქრალ არემარეში იღვწის წისქვილი; მწვანე თხილნარში ალისფერი ბაგე მრგვალდება, წითლად იხრება კაცთაგანი მდუმარე წყლისკენ.

შემოდგომას, და ტყის სულს, კვლავაც მშვიდობა მსჭვალავს; მარტოსულს თან სდევს ოქროს ღრუბელი, შვილიშვილის შავი აჩრდილი. ქვევან ოთახში – დაისის დრო; უამმოთეულ კვიპაროსებქვეშ, წყაროსთან, ცრემლის დამეული სურათები მოგროვებულან;

ამოცისკრების ოქროს თვალი, დასასრულის ბნელი გაძლება.

დაისის მხარე

მე-4 რედაქცია

ელტე ლასკერ-შულერს, მოკრძალებით

1

ლურჯი მღვიმიდან,
როგორც მკვდარი, გამოდის მთვარე,
და ქოვან ბილიკს
მირიადი ყვავილი აწვიმს.
ვერცხლოვანია სწეულების ტირილის ხმა
მწუხრის ტბორის პირს.
შავი ნავი დაუგდიათ და
სიკვდილი წყალში უპოვნიათ შეყვარებულებს.

ხოლო კორომზე, სუმბულთა შორის,
ელისის ფეხის ხმა-წკრიალი იღვრება და
მუხიანში იკარგება ჟამიდან ჟამზე.
ჰოი, ყრმის სახე,
ბროლის ცრემლთაგან
და ღამეულ აჩრდილთაგან ჩამონაკვთული!
მარადცივი საფეთქელი
კბილცეცხლოვანი ელვის ძალით
ინათებს კვალად,
მწვანე ქედებს
გაზაფხულის ავდარი როს დაეუფლება.

2

სავსე არიან რაოდენი ჰაეროვნებით
ჩვენი სამშობლოის მწვანე ტყეები,
და – ჩამოქცეულ კლდეთა ფერხთით
დამსხვრეული ბროლის ტალღები;
ძილი მოთქმად გადაგვქცეოდა;
ეკლოვან სხლტეთა გაყოლებით
მგალობელნი სეირნობენ
მწუხრის ზაფხულეულს,
ვენახთა შორით ფენილი ნათლის
წმინდა სიმშვიდეს აღუვსია ნაბიჯი მათი;
აი, ჩრდილები – მგლოვიარე არწივები –
ყინულოვან სტომაქში ღამის.
ნაზად აშუშებს
სევდის ალისფერ ჭრილობებს მთვარე.

3

ჰოი, თქვენ, დიდო ქალაქებო,
ქვით ნაშენნო
ვაკემიწებზე!
ასე კაცი უსამშობლო
მდუმარედ მისდევს,
სახექუფრი, ქარის დინებას,
ბექს შეფენილ შიშველ ხეთა რიგს.
თქვენ, ყოველგან მომაკვდავო მდინარეებო!
ოდეს დაისის საშიშ წითელს
ალმოვაჩენთ ავდრის ღრუბლებში,
უსაშველო აგვიტანს ძრწოლა.

დასაღუპად განწირულო, ჰოი, ხალხებო!
უძლურ ტალღებად მიმსხვრეული
ღამის ნაპირთ,
ვარსკვლავები, ჩასაქცევად განწირულები.

სულის გაზაფხული

ამოყვირება ძილში; ქარი ეხეტება შავბნელ ჩიხებში,
გამეფებულა გაზაფხულის ლურჯფეროვნება მსხვრევად ტოტნარში
და ალისფერ ნამში ღამისა, ვარსკვლავები ქრებიან ირგვლივ.
მდინარეს მწვანე ბინდი მოსავს, ვერცხლისფერი – ძველ ხეივნებს,
ქალაქის კოშკებს. ო, ნაზად თრობა
დარწეულ ნავში და შავი შაშვის ბნელი ძახილი
ბავშვურ ბაღებში. საჩინოვდება ვარდისფერი მარმაში უკვე.

წყლების ხმაური საზეიმო. ო, მინდვრიანი ნაპირების სველი ჩრდილები,
მხეცის ნაბიჯი; და სიმწვანე, ტოტნარი სისხლად ჩამომდინარე
არხევს ბროლის შუბლს; მანათობელ ნავს.

წყნარად ხმოვანებს მზე ვარდისფერ ღრუბლებში, ბორცვთან.
დღდ არს სიჩუქე ნატყარისა, მდინარის ნაპირს მოჯარული მყაცრი ჩრდილები.

წმიდა არს! წმიდა! სად ჰგიებენ ბილიკები სიკვდილსაშიში,
დუმილის რუხი ქვიანი და სიპები ღამის,
უამრავი მშფოთვარე ჩრდილი? მზის უფსკრული, მანათობელი.

როცა გპოვებდი, დაო, ეულ ველობზე
ტყისა, და იყო შუადღე, დიდი იყო დუმილი მხეცის;
სითეთრე ველურ მუხის ძირში, და ვერცხლისფრად ყვაოდა ქაცვი.
ძლევამოსილი სიკვდილი და – მომღერალი კოცონი გულში.

ბნელად განბანენ წყლები თევზთა მშვენიერ თამაშს.
გლოვის საათი, მზის უტყვი მზერა;
უცხოა სული დედამიწაზე. რარივ სულისად ჩამობინდება
ჩამოშლილ ტყეთა თავზე სილურჯე და სოფელში
ბნელი ზარის ხანგრძლივი რეკვა; პროცესია დაღუმებულთა.
წყნარად ყვავილობს მურტი მკვდრის თეთრ ქუთუთოებზე.

წყნარია წყლების ხმიანობა მოწურვილი ნაშეადღევის ჟამს
და მივარდნილი ადგილები ბნელად მწვანობს ნაპირებზე, აღსავსეა
ვარდისფერი ქარი სილაღით.
მწუხრის გორაკზე – ძმის გალობა უსათუთესი.

ბნელში

მე-2 რედაქცია

დადუმებულა სული ლურჯი გაზაფხულისა.
დაისის ჟამის სველ ტოტებქვეშ
მოყვარულის შუბლი დანთქა ციებ-ცხელებამ.

ო, როცა ჯვარი გამწვანდება. ბნელ საუბარში
ერთურთი იცნეს კაცმა და ქალმა.
ჩამოშიშვლებულ გალავანთან
მოხეტიალე ეულს მისი ვარსკვლავები ასდევნებიან.

ტყის მთვარითნათელ ბილიკთა თავზე
დავიწყებული ნადირობის
ეპალ-ბარდი დაიდრიკა; ჩამოშლილი კლდეებიდან
ჩაიმსხვრევა სილურჯის მზერა.

მიცვალებულის გალობა

კარლ ბორომოის პაინრიხს

ჰარმონით აღსავსეა ფრთოსანთა ფრენა. შეგროვებულან მწვანე ტყეები
დადუმებულ ქოხთან მიმწუხრზე;

შვლის ბროლიადი საძოვრები.

წყვდიადის ძალით დაცხრებიან ნაკადულის დუდუნი და სველი ჩრდილები,

ყვავილები, საამოდ რომ ხმოვანებენ ქარში ზაფხულუამს.
ფიქრსმიცემული კაცის შუბლი უკვე ბინდით გარემოცულა.

ხოლო მის გულში ლამპარი კრთის, დიდი სიკეთე,
და – ნადიმი მშვიდობიანი; რადგან წმინდაა პური და ლვინო,
უფლის ხელით მოწოდებული; უტყვად მოგაპყრობს ლამესავსე თვალებს
შენივ ძმა, ეკლიანი ყარიბობით ღონემიხდილი.
ო, ბინადყოფნა, განმსჭვალული დამის სილურჯით.

და მდუმარება გარდასულთა აჩრდილებსაც სიყვარულით ჩაიკრავს გულში,
იმ დიდი გვარის მობრდლვიალე ტანჯვებს და ქვითინს,
ღვთისმოსავი, მარტოდშთენილ შვილიშვილს რომ შემგვიდრება.

ქვადქცეულ ზღუბლზე, წამებული
სიგიურის შავი წუთებიდან კვლავ ელვარედ გამოფხიზლდება,
და ძლევით მსჭვალავს სილურჯე და შემოდგომის დასასრული,
გაბრწყინებული,

მშვიდი სახლი და ტყის ლეგენდები,
მიჯნა და წესი და მთვარიანი ბილიკები განსვენებულთა.

ბრძნერ-ში გამოქვეყნებული ლექსები (1914/15)

ჰელბრუნში

მიმწუხრზე კვლავაც ლურჯი მოთქმის კვალში ჩადგომით
გორაკთან, ტბორთან გაზაფხულისა –
როცა მის თავზე ორწეოდნენ აჩრდილები დიდი წნის წინ აღსრულებულთა,
აჩრდილები ეკლესიის წინამდღოლთა, ძვირფას დედათა –
ყვავილებს მათსას, მართალ იებს
მწუხრის მიწა მოურთავთ უკვე, და მირაკრაკებს ლურჯი წყაროს
ბროლის ნაკადი. ასე სულისად მწვანდებიან
მუხები მკვდრების დავიწყებულ ბილიკთა თავზე,
ტბორის თავზე – ოქროს ღრუბლები.

გული

თეთრი იყო ტყეთა წიაღ ველური გული;
ო, ბნელი შიში
სიკვდილისა, რუს ღრუბლებში
ოქრო ასე გარდაცვლილიყო.
ნოემბრის მწუხრი.
სასაქლაოს დაფჩენილ კართან
იდგა ღარიბი ქალების გროვა;
კალათებში
იყრებოდა მყრალი ზორცი და შიგნული;
წყეული ხარგ!

დაისის ლურჯ მტრედს
მშვიდობა არ მოუტანია.
საყვირთა ბნელი ხმოვანებით
იყო აღსავსე თელების
სველი ოქროს ტანები.
ნაკუწებად ქცეული დროშა,
ახრჩოლებული სისხლის სუნად,
რამეთუ სასტიკ
მწუხარებაში ჩაძირულა კაცი მავანი.
ო, რკინის დრონი
დამარხულან სიწითლეში მიმწუხრის ჟამის.

გაფიორებული მთვარით მოსილი
ყმაწვილქალის
ოქროს სახე
დაჩნდა ბნელი სახლის კარსელში,
იქვე — გლეხკაცის კარ-მიდამო შემოდგომური.
ღამის ქარიშხლით გადატეხილი შავი ნაძვები,
მოდრეკილი მათი სიმტკიცე.
ო, გული,
თოვლის სიგრილეში მინავლული მისი ციმციმი.

ძილი

მე-2 რედაქცია

დაწყევლილნო ბნელნო შხამნო
და თეთრო ძილო!
ეს უჩვეულოდ უცხო ბაღი
დაბინდულ ხეთა
ალსავსე არის გველებით და ფარვანებით,
ობობებით და ღამურებით.
არაქაურო! დაკარგული შენი ჩრდილი
მეწამულში მიმწუხრის ჟამის,
ბნელი კორსარი
მლაშე ზღვაში უბედობისა.
მიმოეშალნენ ღამის ქობას თეთრი ჩიტები
ფოლადით ნაგებ
და ჩაქცეულ ქალაქთა თავზე.

ავდარი

ველურო მთებო, ამაღლებულო
მწუხარებავ არწივებისა.

ოქროს ღრუბელი
დაფენია კლდეთა უდაბნოს.

ყოვლისდამთმენი სიმშვიდეა საცნაური სუნთქვაში ფიჭვთა,
კუპრისფერ კრავთა, უფსკრულის თავზე,
მეყვსეულად სადაც სილურჯე
უცნაურად დადუშებულა,
ულბილესი ზუილი ბაზთა.
ზურმუხტისფერი, ო, ყვავილი –
ო, მდუმარება.

მთის ნაკადულთა ბნელი სულები
გულს ზღაპრულად შეძრავენ და შეაშფოთებენ,
სრული წყვდიადი,
ხეობას რომ თავს დაატყდება!
გზასაცდენილი
თეთრი ხმები საშიშ ჭიშკრებთან,
მიმორღვეულ ტერასებთან,
ძალმოსილი რისხვა მამათა, გვრინი
დედათა,
ყმაწვილკაცის საომარი ოქროს ყიუინა
და არშობილის
გაუხელელ თვალთა გოდება.

ჰოი, ტკივილო, ცეცხლოვანო გამოხედვავ
დიადი სულის!
ცხენების და საზიდრების
შავ ჯგლეთაში გაბრწყინდება

საზარელი ელვა ვარდისფრად
და აქლერებულ ფიჭვნარში ქრება.
ხოლო ამაყ თავს
მიმზიდველი სიგრილე მოსავს,
მოვარვარე მწუხარება
გამწყრალი ღმერთის.

ძრწოლავ, შავო და შხამიანო
გველო, მტვრად იქეც სიპ ქვიანებში!
მოწყდება ცრემლთა
ნიაღვარი და დაქანდება,
ქარიშხალი-თანაგრძობა,
საცნაური მუქარით სავსე მეხთატეხაში
თოვლით მოსილ მწვერვალთა ირგვლივ.
ცეცხლი
ნათელყოფს დაფლეთილ ღამეს.

საღამო

მდუმარე ტყეებს
გარდაცვლილ გმირთა სახეებით
აღავსებ, მთვარევ;
შეყვარებულთა მორცხვი ალერსით,
ხრწნადი კლდეების შემომჯარველ
სახელოვან დროთა ჩრდილებით
მიმოაგსებ,
ნამგალა მთვარევ;
ლურჯად ინათებს ქალაქის მხარე,
სადაც ცივი და ავბოროუი საცხოვრისი გაუმართავს
ხრწნამორევნილ გგარს,
და ოთრ შვილიშვილს
განუმზადებს უკუნ მომავალს.
მთვარისშთანმთქმელო, ჰოი, ჩრდილებო,
სუნთქვა თქვენი ხომ
მთის ტბის მხოლოდლა
შიშველ კრისტალს დაეწაფება.

ღამე

მე შენ მოგიძლვნი ამ სიმღერას, ო, ნაპრალო პირველყოფილო,
თქვენ, მთებო,
ღამის ქარიშხლებით თავმოყრილებო;
მრუმე კოშკებო,
აღსავსენო ჯოჯოხეთის გამოხედვებით
და ცეცხლოვანი ცხოველებით
და უხეში გვიმრით, და ნაძვით,
ბროლის ყვავილით.
შენ, უსასრულო წამებაო,
ღმერთს რომ ეძიებ,
შენ, სათნო სულო,
გამწყრალ ფიჭვნარს და
ჩანჩქერს სუნთქვით დაწაფებულო.

ირგვლივ ოქროსფრად აენთება
ცეცხლი ღრუბელთა.
ხოლო შავ კლდეებს
ქარიშხალი,
შეშლილი და სიგვდილნასვამი –
მყინვარის
ტალღა ულურჯესი –
ჩამოემხობა,
ველს მოედება უძლეველი ზარის ქუჩილი:
ჩირაღდნები და წყევლა-კრულვა,
ავხორცობის
ბნელი თამაში,
ქვადქცეული თავი
ზეცას შეჭიდებია.

ნაღველი

უძლეველი ზარ, ბნელო პირო
შინაგანისა, შემოდგომის ღრუბლებისგან
ნაძერწო სახევ,
მწუხრიჟამის ოქროს სიმშვიდის;
მწვანედ კვდომადი მთის მდინარე
დამსხვრეულ ფიჭვთა
აჩრდილების სამუუფოში;
სოფელი,
ლბილად განლევადი ლეგა ზატებად.

შავი ცხენები ჯირითობენ
დანისლულ ველზე.
ჯარისკაცებო!
ქედიდან, სადაც მზე მიგორავს სულისმღაფავი,
სისხლი სიცილით ჩაიქცევა –
უტყვი
მუხიანში! ო, მრისხანე ნაღველი
ჯარის; ელვარე ზუჩი
ალისფერ შუბლს ზრიალით მოსწყდა.

მოაწევს რარიგ ცივი ღამე შემოდგომისა,
გარსკვლავთა ნათლით შემმოსავი
მამაკაცთა დამსხვრეული ძვლების დამყურე
მშვიდი მონაზვნის.

შინ დაბრუნება

მე-2 რედაქცია

უბნელესი წლების სიგრილე,
ტკივილი და იმედი
იცავს გიგანტურ ლოდებს,
უკაცრიელ მთებს,
შემოდგომის ოქროვანი სუნთქვა,
ღრუბლები მიმწუხრისა –
ეს სისუფთავე!

ლურჯი თვალებით მიმოიმზერს
ბროლის ბავშვობა;
ბნელ ნაძვნარში
სიყვარული, იმედი კვალად,
რომ ცეცხლოვანი ქუთუთოების
ცვარი უწყვეტად დაცემა
მიუძრავ ბალახს!

ო! იქ ბილიკი ოქროვანი,
ჩაქცევადი თოვლში
უფსკრულის!
ლურჯ სიგრილეს
შეისუნთქავს დამის ხეობა,
რწმენა, იმედი!
მარტოსულო სასაფლაო, სალამი შენდა!

გვრინი

ძილს და სიკვდილს, გულქვა არწივებს,
ამ უმთავრესის გარშემო აქვთ ღამეული ბჭობა-გნიასი:
ადამიანის ოქროს ზატი
მარადისობის ყინულოვანი ტალღის ძალით
დასამარდება. შემზარავ რიფებს
მიემსხვრევა ცეცხლოვანი სხეული და
ზღვის თავს
ბნელი ხმის ჩივილი მიმოიქცევა.
ქარიშხლიანი სევდის დაო, მზერა მიაპყარ,
ვარსკვლავქვეშეთს
დაენთქმება მფრთხალი ნავი,
ღამის უტყვი სახეს.

გროდეკი

მე-2 რედაქცია

აუდერდებიან სასიკვდილო იარაღის ძალით მიმწუხრზე
შემოდგომის ტყეები და ოქროს ველები
და ლურჯი ტბები, მზე რომელთა თავზე
მცხრალად გადაგორდება; ღამე ჩაიკრავს
მომაკვდავ მებრძოლთ, ხაფ ღრიალს
მათი დამსხვრეული ბაგეებისა.

მაგრამ ძეწნათა ფესვებში წყნარად გროვდება
წითელ ღრუბელთა გუნდი, მასში გამწყრალი ღმერთი სახლობს
დაღვრილი სისხლი, სიგრილე მთვარის;
კუპრისფერ ხრწნაში იძირება ყოველი ქუჩა.
ღამეუამის და ვარსკვლავების ოქროს ტოტნარქეშ
მიმოირწევა დის აჩრდილი უტყვი ტყის წიაღ,
მისასალმებლად სისხლად ღენილ თავებთან და გმირთა სულებთან;
და წყნარად უღერენ ღერწმში ბნელი ფლეიტები შემოდგომისა.
ო, სიამაყით აღსავსე გლოვა! მათი ბრინჯაოს საკურთხევლები!
სულის მხურვალე ცეცხლი კვებავს დღეს ძლიერ ტკივილს,
არშობილ ბადიშთ.

ღ ა ნ ა რ თ ი

აღსასრული

(კარლ ბორომეუს ჰაინრიხს)

მოთეთრო ტბორებს

ველურ ჩიტების ვეება გუნდმა გადაუფრინა.

შებინდებისას ყინულის ქარი გვიტევს ჩვენივე ვარსკვლავებიდან.

საფლავებს ჩვენსას

დამსხვრეულ შუბლით ეხება ღამე.

მუხებქვეშ ნელა მივირწევით ვერცხლისფერ ნავით.

გაბმით რეკავენ თეთრი ქალაქის ყრუ გალავნები.

ეკლიან თაღქვეშ

ო, ჩემო ძმაო, ბრმა ისრებივით წინ მივიწევთ შუალამისკენ.

თარგმანი გავა ჩხეიძისა

ელის

დაბურულ ტყეში გალობა შაშვის - მაცნეა შენი გარდაცვალების,
ო, ყრმაო ელის,
ტუჩები შენი ცისფერი წყაროს სიგრილეს სვამენ.

დაეხსენ ახსნას ფრინველთა ფრენის,
უძველეს მითებს...
შენი შებლიდან ჩუმად უონავს წითელი სისხლი.

მაინც მიდიხარ მსუბუქ ნაბიჯით
ძოწის მტევნებით სავსე დამისკენ,
მკლავებგამლილი, მშვენიერი, მუქ სილურჯეში.

ეკლი რეკავს
სავსე მთვარეთა სიახლოვეს შენი თვალების.
ო, რა ხანია, ელის, აღარ ხარ.

შენი სხეული სუმბულია,
და ვიღაც ბერი ნელა გეხება სანთლის თითებით.
შავი მღვიმეა ჩვენი დუმილი,

მის წიაღიდან დროდადრო ჩნდება მშვიდი ცხოველი
და ზანტად ხუჭავს უმძმეს თვალებს.
საფეთქლებს შენსას ეწვეთება კუპრივით ნამი,

ჩამქრალ ვარსკვლავთა ოქროსფერი უკანასკნელი.

თარგმანი გაგა ჩხეიძისა

რონდელი

გაღვრილა ცურვილი ოქრო დღეების,
საღამოს ყავის და ლურჯი ფერები;
მწყემსთა სალამურის მოკვდა ბგერები,
საღამოს ლურჯი და ყავის ფერები,
გაღვრილა ცურვილი ოქრო დღეების.

თარგმანი მაია ნათაძისა

ლამით

სილურჯე ჩემი თვალების ჩაქრა ამ ლამით,
ჩემი გულის წითელი ოქრო, ო რა ჩუმად იწოდა შუქი,
შენი ლურჯი მოსასხამი შემოეხვია ფსკერისკენ მიმავალს,
შენმა წითელმა ბაგეძ დაასვა ბეჭედი მეგობრის შეღამებას.

თარგმანი მაია ნათაძისა

ბიჭუნა ელის

ელის, როცა შავ ტყეში შაშვი იძახის,
ეს არის შენი დასავალი,
შენი ტუჩები წყლის ლურჯი წყაროს სიგრილეს სვამენ.

აქციე ზურგი, როცა შუბლიდან ნელა გიწვეთავს სისხლი,
ხავსმოდებულ დროთა თქმულებებს
და მრუჟე მინიშნებას ფრინველთა ფრენის.

შენ კი მიდიხარ რბილი ნაბიჯებით უკუნ ღამეში,
რომელიც გადმოკიდებულა ძოწისფერი მტევნებით დახუნძლული
და სილურჯეში უფრო ლამაზად ამოძრავებ მკლავებს.

ეკალბარდი ქლერს,
სადაც შენი მთვარიანი თვალებია,
ო, რახანია მკვდარი ზარ, ელის.

შენი სხეული სუმბულია,
რომელშიც სანთლის თითებს შეაცურებს ბერი,
შავი გამოქვაბულია ჩვენი დუმილი,

საიდანაც გამოვა ნაზი ცხოველი
და დახრის ნელა მძიმე ქუთუთოებს.
შენ საფეთქლებს შავი ცვარი ეპკურება,

უკანასკნელი ოქრო დაღლილი ვარსკვლავების.

თარგმანი მაია ნათაძისა

De Profundis

არის წოდაბუნი, რომელშიც შავი წვიმა ვარდება,
არის ყავისფერი ხე, რომელიც მარტოლმარტო დგას,
არის სისინა ქარი, რომელიც ცარიელ ქოხებს შემოურბენს,
რა მწუხარედ იწურება დღე.

სოფლის გადაღმა
აგროვებს ობოლი გოგონა შემორჩენილ თავთავს,
თვალები მრგვალი აქვს და ოქროსფრად ძოვენ სალამოს ბინდში,
წიაღი ციური საქმროს ლოდინშია.

დაბრუნებისას ნახეს მწყემსებმა ტებილი სხეული,
რომელიც იხრწნებოდა ეკალბარდებში.

მე ვარ ჩრდილი პირქეშ სოფლებს განრიდებული,
ღვთის ღუმილი
შევსვი უსიერი ტევრების ჭიდან.

ჩემ შუბლს ცივი მეტალი ეხება,
ობობები იწევენ ჩემი გულისკენ,
არის შუქი, რომელიც ჩემ პირში ქრება.

ღამით აღმოვაჩინე თავი მდელოზე,
ვარსკვლავების უწმინდურობისა და მტვერისაგან გაშეშებული,

თხილნარში
ისევ ბროლის ანგელოზები წკრიალებდნენ.

თარგმანი მასა ნათაძისა

სიმშვიდე და მდუმარება

მწყემსებმა დამარხეს მზე შიშველ ტყეში,
მეთევზემ მქისე ბადით
ამოზიდა მთვარე მოთოშილ ტბიდან.

ლურჯ კრისტალში
სახლობს ფერმქრთალი კაცი, ლოფამიდებული თავის ვარსკვლავებზე
ან თავდაქინდრული ძოწეულ ძილში.

და მაინც მუდამ ათრთოლებს გულს
შავი ფრენა ფრინველების, ლურჯი ყვავილის წმინდა სინაზე;
სიჩუმე ფიქრობს გარდასულზე; ჩამქრალ ანგელოზთა წყება.

ისევ იღამებს შუბლი მთვარიან კლდე-ლოდებში,
სხივიანი ჭაბუკი
გამოჩნდება და, შემოდგომით და შავი ლპობით შემოსილი.

თარგმანი მაია ნათაძისა

მწუხრის სამყაროს სიმღერა

ჰოი, ღამეული ფრთისცემა სულის:

ვიღოდით ოდეს ჩენ, მწყემსები, უზსოვარ დროს შებინდული ტყების პირას,
გვდევდა ფეხდავეს ნადირი უღალი, მწვენე ყვავილი, ნაკადული ენაბორძიგა
უდრტვინველად, მშვიდად. ჰოი, მარადძეველი ბგერა ჭრიჭინის,
სისხლის ყვავილობა სამსხვერპლე ქვაზე

და უეცარი ძახილი ეული ფრინველის განაბული ტბის ბალახისფერ
მდუმარებაში.

ჰოი, ჯვაროსნულო ლაშქრობებო და ხორცის გვემავ

ნაღვერდლიანო, ძოწეული ნაყოფის ცვენა

საღამოს ბაღში, სად დროთა სვლის წინ კდემთ მოსილი მორჩილები
მიმოდიოდნენ,

აწ მეომრები ჭრილობებს და ვარსკვლავსიზმრებს ერკინებიან,

ო, ღამეული შხამის ფაფუკი ფუთა.

უამნო სიწენარის და ქარვისფერი შემოდგომების,

როს ჩენ, ბერები, უშფოთველნი ვწნეხავდით მტევანს,

მზიან სერებით და ტყე-მინდვრით გარშემორტყმულნი;

მონადირეთა ყიუინავ და სასახლეებო, ჰოი, მყუდრო დაისებო,

ოდეს თვის თავთან დარჩენილი ადამის შეილი მართალს ზრახავდა
და გულში ლოცვით ღვთის ცოცხალ სახეს ეძიებდა.

ო, დასავლის მწარე საათი,

როცა შავ წყალში ქვის სახეს ვხედავთ;

და მაინც სხივი ჩასდგომიათ ვერცხლის წამწამებში მათ, ვისაც უყვარს
ერთი მოდგმა. ამბრი მოიფრქვევა ვარდისფერი ამბორიდან

და მკვდრეთით აღმდგართა უტკბილესი ჰანგი იღვრება.

თარგმანი მასა ნათაძისა

დაბადება

მთები: სიჩუმე, სიშავე, თოვლი,
წითლად ეშვება ნადირობა მთიდან;
ო, ხავსიანი თვალები ირმის.

სიმშვიდე დედის. შავი ნაძვის ქვეშ
იხსნება დაძინებული ხელის თითები,
როცა გამოჩნდება ცივი დაშლილი მთვარე,

აღამიანის დაბადება. ღამღამობით
ჩხრიალებს ლურჯი წყალი კლდეების ძირში;
ოხვრით დასცექრის დაცემული ანგელოზი თავის ანარეკლს.

იღვიძებს დახუთულ ოთახში ფერმიხდილი,
ორი მთვარე
აელვარებს კლდის დედაბრის თვალებს.

ტკივილი, მშობიარე ქალის დაკივლება. შავი ფრთით
ეხება ბიჭის საფეთქელს ღამე,
თოვლი, რომელიც უხმოდ წყდება მეწამულ ღრუბელს.

თარგმანი მაია ნათაძისა

მზე

ყოველ ცისმარე დღეს დაადგება ყვითელი მზე ქოჩორა გორას,
ლამაზია ტყე, მუქი ნადირი,
ლამაზია ადამიანი; მწყემსი თუ მონადირე;

მოწითალოდ იელვებს მწვანე ტბაში ლივლივა თევზი,
ცამრგვალის ქვეშ
გაცურავს მეთევზე ცისფერი ნავით;

დინჯად მწიფს მტევანი, ივსება თავთავი.
წყნარად რომ გადაიხრება დღე,
მზადდება კეთილი და ბოროტი საქმე.

ღამდება,
ნელა სწევს მგზავრი დამძიმებულ ქუთუთოებს,
შავბნელი უფსკრულიდან იჭრება მზე.

თარგმანი მაია ნათაძისა

სულის გაზაფხული

წამოყვირება ძილში; ქარი, თავაშვებული შავ შუკებში,
შეგვეგებება გაზაფხულის სილურჯე მყიფე რტოების იქით,
ძოწისდარი ცვარნამი ღამის და ვარსკვლავნი ჰქონებიან ცაზე.
მდინარე მწვანედ შემოიბინდებს, ვერცხლი დაფერავს
ძველ ხეივნებს და ქალაქის კოშკებს. ოპ, ნაზი თრობა
ნელმცურავ ნავში და მოგუდული სტვენა შაშვისა
მტილებში სიყრმის. აი, ნათდება ვარდისფერი ახალფურცლობა.

საზეიმოდ მოსჩქეფენ წყალნი. ოპ, ნესტიანი ჩრდილები მინდვრის;
მიმავალი მხეცი. მწვანედ აფეთქებულ რტოების რიგი
შენავლები შუბლებს ბროლქვისას; მოციმციმე ნავი რწეული.
მზე ხმადაბლა ქლერს ნაძნარში, კუშტი ჩრდილნი, მდინარის სახლოვეს.
სიწმინდე, ჰორ, სიწმინდე! არსად ჩანან სიკვდილის გზაწვრილები,
რუხი, ჰირქუში ქვის მდუმარების, ღამეული კლდეების წყება.
ან ის ლანდები დაუდგრომელი? მოელვარე უფსკრული მზისა.
დაო, რა გპოვე ეულად გაშლილ ტყის მდელოზე,
იდგა შუადღე და ღრმა იყო მხეცის სიჩუმე;
სითეთრე მუხის ქვეშ, ეკლნარის ჰყვაოდა ვერცხლი,
დიადი კვდომა და მომღერალი ცეცხლი გულში.

უფრო მრუმედ გადაუვლიან წყლები ლალობას თევზებისას.
უამი გლოვისა, მდუმარებით მზის შემოხედვა;
სული უცხოა ამ მიწაზე. სულისდარად შემოიბინდებს
ტოტებმილეწილ ტყეზე სილურჯე და რეკავს დიდხანს
ბნელხმიანი ზარი სოფელში; მშვიდი გაცილება.
დუმილი თეთრად გაფურჩქნის მურტს მიცვალებულის ქუთუთოებზე.
ოდნავდა ისმის წყლების ხმაური საღამო უამის მიდრეკისას,
მწვანედ მუქდება ნაპირზე შამბი, სიხარული ვარდისფერ ქარში;
და მწუხრის ბორცვზე ხავერდოვანი სიმღრა ძმისა.

თარგმანი კონსტანტინე ზ. გამსახურდიანი

სადამო ლანსში

ხეტიალისას შენაბინდ ზაფხულზე
ზურგსუკან ძნები ყვითლად ქარვული.
თეთრად შეფეთქილ თაღების ქვეშ,
მიმოფრენდა სადაც მერცხალი,
ცეცხლოვანი ვიგემეთ ღვინო.
სილამაზე კაეშნისა და ძოწის სიცილის.
მწუხრი, სიმწვანის ბნელსურნელნი
შეგვაურულებს და შუბლს გაგვიგრილებს.
წყალვერცხლი ჰყვება ტყის საფეხურებს;
დამე, სიცოცხლე თავდავიწყებით.
და მეგობარი: გზაწვრილნი სოფლის,
ფოთლით ფენილი.

თარგმანი ქონისტანტინე ჭ. გამსახურდიასი

გროდეპი

მომაკვდინებელ იარაღის აღავსებს ზათქი
მწუხრის ჟამს ტყეებს შემოდგომის, ოქროს დაბლობებს
და ლურჯ ტბებსაც, მათ თავზე პირქუშად
გადაგორდება მზე; დააწვება ღამე წყვდიადი
მომაკვდავ მებრძოლთ, გულსაკლავ მოთქმას
დარღვეული მათი პირების.
საძოვრების მიწაში კი გროვდება ნელა
მეწამულ ღრუბლად, სად მწყრომარე სუფეეს ღვთაება,
დაღვრილი სისხლი, სიგრილე მთვარის.
ყველა შარაგზა აქ შეერთვის ავბნელ ხრწნადობას.
ვარსკვლავების და ღამის ოქროვან რტოებქვეშ
ირწევა ჩრდილი - დაი სათნო მდუმარ კორომში,
და ესალმება გმირთა სულებს, სისხლიან თავებს;
რა ჩუმად ხმობენ ფლეიტები შემოდგომისა
ლერწმებში. პოი, გლოვა ამაყი უფრო!
თქვენ, ბრინჯაოს საკურთხევლებო,
მწველი ცეცხლი სულისა ჰქვებავს
დღესდღეობით ტკივილს მძლეთამძლეს,
შვილიშვილებს, ჯერ არ-შობილებს.

თარგმანი კონსტანტინე ზ. გამსახურდიასი

შ ე ნ ი ჟ ა ს ნ ე ბ ი

გეორგ თრაკლის თარგმანების წინამდებარე კრებული მომზადებულია პოეტის მექვიდრეობის ცნობილი აკადემიური გამოცემის საფუძველზე: Georg Trakl. Dichtungen und Briefe. Historisch-kritische Ausgabe. Hrsg. von Walther Killy und Hans Szklenér. Bd. I, Otto Müller Verlag, Salzburg, 1969.

ლექსები. 1913. ამ კრებულის ხელნაწერი თრაკლმა 1912 წლის დეკემბრის დასაწყისში გაუგზავნა თავის მეგობარს, ერთარდ ბუშებს, რომელმაც 12 დეკემბერს ხელნაწერი სათაურით „მწუხრი და დაცემა“ („Dämmerung und Verfall“) გადაუგზავნა ალბერტ ლანგნის გამომცემლობას და, მოუხედავად გამომცემლობის ლექტორის, კარლ ბორომოის პაინიიშის მხარდაჭერისა და შუამავლობისა, 1913 წლის მარტში, გამგზავნს უარყოფით დასკვნით დაუბრუნდა. მთელი ამ წნის განმავლობაში კი თრაკლი ხევწდა და აუმჯობესებდა თავის კრებულს, შექმნდა მასში ახალი ლექსები და უარს ამბობდა უკვე შეტანილ ზოგიერთ ლექსზე, მოუღლ წიგნს კი წარმოიდგენდა, როგორც ერთადერთ ლექსს. უარყოფით დასკვნის მიღებისთანავე, თრაკლმა მეგობრისგან ხელნაწერი უკან გამოითხოვა, რათა კიდევ ერთხელ გადაემუშავებინა და გაუგზავნა კურტ ვოლფის გამომცემლობისთვის, რომელიც ავტორის შემოქმედებით დაინტერესდა. ასე როდ, 1913 წლის აპრილში ვოლფის გამომცემლობაში მოხვედრილი ლექსების კრებული არსებითად განსხვავდებოდა ლანგნის გამომცემლობაში გაგზანილი ვარიანტებისგან. პოეტმა უარი თქვა წიგნის ადრეულ დასახელებაზეც და კრებული, საბოლოოდ, 1913 წლის ივლისში გამოქვეყნდა სახელწოდებით „ლექსები“.

ენდიმიონი: ბერძნულ მითოლოგიაში, მშვინიერი ჭაბუკი, რომელიც ზევსმა ოლიპონზე აიყვანა, მან კი ზევსის მეუღლე ჰერა შეურაცხყო. განრისხებულმა ზევსმა ენდიმიონს სამუდამო ძილი შეჰქარა. სხვა ვერსიით, სელენმა, ენდიმიონის სატრფომ, ზევსს სთხოვა, ენდიმიონი დაეძინებინა, რათა იგი მარადახალგაზრდა დარჩენილიყო.

კარლ მინიხი(1886-1964): თრაკლის თანაკლასელი და უნივერსიტეტელი მეგობარი.

ანგელა: ქალის სახელი, რომელიც იშვიათად გვხვდება თრაკლის ლირიკაში, მათ შორის ორ ვარიანტში ლექსისა „ანგელას“.

წმინდა თომა: ახალ აღთქმაში, იესოს მოწაფე, რომლის სახელიც ურწმუნობის სიმბოლოდ იქცა მას შემდეგ, რაც მოწაფეებთან სიკვდილის მერე გამოცხადებული ქრისტეს მკვდრეთით აღმდგომაში დასარწმუნებლად, მის ჭრილობებს ზელით შეხო.

De profundis: ლათინური სიტყვაა და ნიშნავს “სიღრმიდან”, ასე იწყება ძველ აღქმაში ფსალმუნების წიგნის 130-ე ფსალმუნი.

კარლ კრაუსი (1874-1936): ავსტრიელი მწერალი და პუბლიცისტი, სატირიკოსი და საზოგადო მოღვაწე. მე-20 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უცნობილესი კრიტიკული გონიერა. 1899 წლიდან გამოსცემდა ჟურნალს “ჩირალდან” (“Die Fackel”), სადაც 1911 წლიდან სიკვდილის ბოლომდე მხოლოდ საკუთარ შემოქმედებას ბეჭდავდა. თრაკლმა იგი ათიანი წლების დასაწყისში გაიცნო და ეს ნაცნობობა მჭიდრო მეგობრობაში გადაიზარდა. კრაუსი დიდად აფასებდა თრაკლის პოეზიას და ყოველთვის მხარში ედგა ავტორს.

ნიმუხი: ტყის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში. იგი, ასევე, აღნიშნავს მწერთა მრავალი სახეობის განვითარების სტადიას ჭუპრობიდან დაფრთხილებამდე.

აზრაკლი: ძველ აღთქმაში, სიკვდილის ანგელოზი.

ელაი: „ღმერთო ჩემო“, ჯვარზე გაკრული იესოს ამოძახილი.

ჰელინი: თრაკლის პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავალმნიშვნელოვანი ხატ-პერსონაჟი, რომელიც ხშირად ფიგურირებს პოეტის გარღაცყალების შემდგომ აღმოჩენილ ლექსებში და ეტიმოლოგიურად უკავშირდება სინათლეს, ნათელს, ნათლიერს, მზეს, მაცხოვარს.

პანი: ბერძნულ მითოლოგიაში მწყემსებისა და ტყის ღმერთი, თხის ფეხებიანი და ბეწვით დაფარულტანიანი, დიონისეს თანმშლები ღვთაება.

სებასტიანე სიზმრად. 1915. ჯერ კიდევ 1913 წელს, პირველი კრებულის კურტ ვოლფის გამომცემლობასთან დადგებულ ხელშეკრულებაში, თრაკლი ვალდებულებას იღებდა, რომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები, უპირველესად, ამავე გამომცემლობისთვის უნდა შეეთავაზებინა გამოსაცემად. ერთი წლიდაც კი არ იყო გასული, რომ თრაკლმა ვოლფის გამომცემლობას ახალი კრებული „სებასტიანე სიზმრად“ შესთავაზა. ეს ხდებოდა მარტში, ერთი

თვის მერე კი ავტორმა კრებულს წერილი დააღევნა, რომელშიც გამომცემელს დროულ პასუხს სთხოვდა, რათა ხელნაწერზე მუშაობა გაეგრძელებინა და ლექსებიც და წიგნის სტრუქტურაც კიდევ ერთხელ გადაემუშავებინა. განსაკუთრებით ეხება ეს სწორჯერ კრებულის სტრუქტურას. სამ ნაწილად დაყოფილი კრებული თრაკლმა ხუთ ნაწილად დაყო, მუდმივად შეპქონდა შესწორებები ცალკეულ ქვეთავებში, გადააჯგუფებდა ლექსებს, ამ შესწორებებს აუწყებდა გამომცემლობას. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ბოლომდე იყო მიყვანილი, წიგნის საბოლოო ვერსიაც – დადგენილი, თრაკლი კრებულის გამოცემას ვერ ღირსა. წიგნი მხოლოდ თრაკლის გარდაცვალების მერე, 1915 წლის გაზაფხულზე გამოიცა.

კლისი: თრაკლის მიერ მითოლოგიზებული სახე უმნ坎 ყმაწვილისა, რომელიც თრაკლის რამდენიმე სხვა ლექსშიც გვხვდება.

პოპებურგი: სასახლე ინსპრუკთან, რომელიც ეკუთვნოდა თრაკლის მეგობრისა და მფარველის ლუდვიგ ფონ ფიკერის ძმას და რომელსაც 1913-14 წლებში ზოგჯერ სტუმრობდა პოეტი.

სებასტიანე: ქრისტიანობისთვის წამებული რომაელი ოფიცერი, რომელმაც მე-3 თუ მე-4 საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა და ამის გამო რომაელებმა სასჯელის საშინელი ფორმა - ისრებით დაცხრილვა - მიუსაჯეს.

ალოლფ ლოოსი(1870-1933): აგსტრიელი არქიტექტორი და ავანგარდული არქიტექტურის თეორეტიკოსი, კარლ კრაუზის უახლოესი მეგობარი.

წმინდა პეტრეს სასაფლაო: დაკრძალების ადგილი ზალცბურგის ერთ-ერთი კლდოვანი მთის ძირას.

ლანსი: ადგილი ინსპრუკთან.

ბერთამთა(Mönchsberg): გრძელი მთაგრეხილის ის ერთი ნაწილი, რომელსაც ზალცბურგი თითქმის მთლიანად გარს აკრავს.

კასპარ ჰაუზერი: დღემდე იდუმალებით მოცული, თუმცა კი რეალური პიროვნება, რომელიც, ოქესმეტი წლის ასაკში, 1828 წელს მოულოდნელად გამოჩნდა ნიურნბერგის ქუჩებში. როგორც გაირკვა, მას უცნობი დამნაშავები ადამიანთა სამყაროსგან მოწყვეტით ზრდიდნენ ოთხი წლის ასაკიდან. მან არ იცოდა მეტყველება. მოქალაქეებმა შეიფარეს იგი, ასწავლეს მეტყველება, ანბანი. 1833 წელს კი კასპარს თავს დაესხა უცნობი ადამიანი და იგი სიცოცხლეს გამოასალ-

მა. ერთ-ერთი ვერსიით, კასპარ ჰაუზერი დიდგვაროვანთა ჩამომავალი იყო. თრაკლი თავის თავს იღუმალებით მოცულ ამ პიროვნებას უიგივებდა, რაკი ისიც უცხოდ, მარტო და დაუცელად გრძნობდა თავს საზოგადოებაში.

ბესი ლოოსი: ადოლფ ლოოსის და.

„ამას ვნატრობ, გავხდე მხედარი“: კასპარ ჰაუზერზე დაწერილ იაკობ ვასერმანის რომანში, რომელიც თრაკლს წაკითხული ჰქონდა, თექსტებზე წლის კასპარი, რომელმაც არ იცის ლაპარაკი, გამუდმებით იმეორებს მე-19 საუკუნის დედაენის სახელმძღვანელოებში გავრცელებულ სიტყვებს: „მე მინდა, მამაჩემის მსგავსად, მხედარი გავხდე“.

ანიფი: სასახლე ზალცბურგის შორიახლოს.

კარქ ბორომოის ჰაინრიხი (1884-1938): ავსტრიელი მწერალი და ჟურნალ „ბრენერ“-ის თანამშრომელი.

მარიამი: ღვთისმშობელი. ამის დაზუსტება საჭიროა იმიტომ, რომ თრაკლის ზოგიერთ ტექსტში მარიამი არ აღნიშნავს მაინცდამაინც ღვთისმშობელს.

ორფეოსი: ბერძნულ მითოლოგიაში სახელგანთქმული მომღერალი, რომელიც ამაოდ ცდილობდა მიცვალებულთა სამეფოდან თავისი შეყვარებულის, ევრიდ-იკეს გამოსხას.

ტრიტონი: ბერძნულ მითოლოგიაში ზღვის ღმერთი, ნახევრად აღამანი და ნახევრად თევზი. მთის სხვა ვერსიით, იგი იყო ლიბიაში მდებარე ტრიტონის ტბის ღმერთი; ამ ტბის გავლა მოუხდათ არგონავტებს, რომელთა შორის ორფეოსიც იყო.

განსაწმენდელი: კათოლიკური თეოლოგიის მიხედვით, ადგილი საიქიოში, სა-დაც მკვიდრდებიან ქრისტეს დაბადებამდე მცხოვრები ადამიანები და მოუნათლავად გარდაცვლილი ბავშვები.

ლუდვიგ ფონ ფიკერი (1880-1967): ავსტრიელი პუბლიცისტი და ჟურნალ „ბრენერის“ გამომცემელი. ამ ჟურნალში 1912 წლიდან იბეჭდებოდა თრაკლის ლექსები.

ელზე ლასკერ-შულერი (1869-1945): გერმანელი მწერალი ქალი, გერმანული ექსპრესიონიზმის ცნობილი წარმომადგენელი.

„ბრევერ“-ში გამოქვეყნებული ლექსები (1914/15)

პელბრუნი: ბაროკოს ხანის სასახლე ზალცბურგის შორიახლოს, რომლის ბაღიც განთქმული იყო თავისი მშვენიერი ტბებით და მოცეკვევე შადრევნებით.

გროდექი: ადგილი გალიციაში, დღევანდელ აღმოსავლეთ პოლონეთში; ამ ადგილას პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, 1914 წლის ოქტომბერში, გაიმართა სასტიკი ბრძოლა ავსტრიელთა და რუსთა ჯარებს შორის; თრაკლი ამ ბრძოლაში მონაწილეობდა, როგორც სანიტარი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

Rondel თარგმნა ამირან სვიმონიშვილმა
შეგინდებისას თარგმნა ამირან სვიმონიშვილმა
ბოროტის სიზმარი თარგმნა ამირან სვიმონიშვილმა
შემოღვომაზე თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ჩემი გული საღამოობით თარგმნა დათო ბარბაქაძემ
გლეხები თარგმნა დათო ბარბაქაძემ
სიცოცხლის სული თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ტყისპირი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
სამახსოვრო ჩანაწერების ძველ წიგნში თარგმნა დათო ბარბაქაძემ
გარდასახვა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
კაცობრიობა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
De profundis თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ფსალმუნი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
დას თარგმნა მაია ნათაძემ
სიკვდილის სიახლოვე თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ამინ თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ნერვება თარგმნეს ნინო ყარალაშვილმა და გაგა ნახუცრიშვილმა
ადამიანთა საბრალოობა თარგმნეს ნინო ყარალაშვილმა და გაგა ნახუცრიშვილმა.
მწუხრის სიმღერა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ღმძის სიმღერა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ჰელიანი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ბავშვიობა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
უმნი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
გზად თარგმნა დათო ბარბაქაძემ
სანახი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ყრმა ელისისაღმი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ელისა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ჰოპენბურგი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
სებასტიანე სიზმარად თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ჭაობთან თარგმნა დათო ბარბაქაძემ
გაზაფხულზე თარგმნა დათო ბარბაქაძემ
საღამო ღანსიში თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ბერთამთაზე თარგმნა დათო ბარბაქაძემ
კასპარ ჰაუზერის სიმღერა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ღმძით თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ბაღში თარგმნეს ნინო ყარალაშვილმა და გაგა ნახუცრიშვილმა
ზმორის საღამო თარგმნა ამირან სვიმონიშვილმა
სიმშვიდე და მდუმარება თარგმნა დათო ბარბაქაძემ

ანთუ თარგმნა დათო ბარბაქაძემ
დაბადება თარგმნა დათო ბარბაქაძემ
აღსასრული თარგმნა დათო ბარბაქაძემ
სიერმის უამს გარდაცვლილისადმი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
შწუხრი სულისა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ჩამავალი მშარის სიმღერა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ფერისცვალება თარგმნა დათო ბარბაქაძემ
თბილი შშრალი ქარი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
მგზავრი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
კარლ კრაუსი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
დადუმებულთადმი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ვწება თარგმნა დათო ბარბაქაძემ
სიკედილის შვიდი საგალობელი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ზამთრის ღამე თარგმნა დათო ბარბაქაძემ
განსაწმენდელი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
შხე თარგმნა დათო ბარბაქაძემ
დატყვევებული შაშვის გალობა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ზაფხული თარგმნა დათო ბარბაქაძემ
წელიწადი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
დაისის მხარე თარგმნა დათო ბარბაქაძემ
სულის გაზაფხული თარგმნა დათო ბარბაქაძემ
პნელში თარგმნა დათო ბარბაქაძემ
მიცვალებულის გალობა თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ჰელბრუში თარგმნა დათო ბარბაქაძემ
გული თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ძღლი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ავდარი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
საჭამო თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ღამე თარგმნა დათო ბარბაქაძემ
ნაღველი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
შინ დაბრუნება თარგმნა დათო ბარბაქაძემ
გვრინი თარგმნა დათო ბარბაქაძემ
გროლეკი თარგმნა დათო ბარბაქაძემ

დანართი

შენიშვნები